საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 29 ივლისი 1999 №142 (915) | ფასი 50 თეთრი

ქართველთა ერთადერთი ნადავლი

ვალერი გაგუა: ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირი

შუკერი კიევში მიდის

ხორვატი თავდამსხმელი უკრაინელებს თავად დაუკავშირდა

ქართველ ბიჭებს სელექციონერებმა თავგზა აუბნიეს

მიიჩნევს კადეტთა ნაკრების მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი

სტეფანიამ ყველას ყველაფერში აჯობა

ბოსტონში მორიგი საზაფხულო ლიგა დაიწყო

დავით კვაჭაძემ შუქით მოგვწერა



ჩვენ კი ვკითხეთ, ნუთუ იმ მოკრივესავით არ გაგჩენიათ სურვილი, თქვენს მიერ ნოკაუტში ჩაგდებული და გაშხლართული მეტოქე გადაგეღოთ?..

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

დინამო 2:1 ზიმბრუ

28 ივლისი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. 8 ათასი მაყურებელი

შემოტრიალება

დინამომ თამაში შემოატრიალა, ბოსკამპმა — დინამო

გუშინ ეროვნულზე: 90-ე წუთი. ლევან ხომერიკის გოლმა ქართველები გაახარა, მოლდოველები კი დაამწუხრა

1981 წლის 13 მაისის მერე ევროტურნირებზე „დინამოს“ დაწინაურებული მეტოქისთვის გუშინდლამდე არ მოეგო

ალბა ინასარიძე

კამათი და ლამის დაწყვეტილი ნერვები, წუხილი და სიხარული, დუმილი და ხმის ჩახლეჩამდე ღრიალი... უვარგის ტაბლოზე აკრული თბილისის „დინამოს“ საკლუბო დროშაც... კარგა ხანია, ეროვნულ სტადიონზე ემოციები ასე არ მოზღვავებულა.

ნამეტანი გვანერვიულეს დინამოელებმა. ზოგ ქომაგს ტრიბუნაც კი დაატოვებინეს, მაგრამ საბოლოდ გაგვახარეს, თავადაც გაიხარეს, მინიმალური სხვაობით მოიგეს და საპასუხო მატჩის წინ ნებისმიერი ფრეც ხელს აძლევთ. კაცი იფიქრებს, ეგ რა ნუგეშია, კიშინიოველებს მეტად როგორ ვერ მოუგესო, თუმცა ამ მიმოხილვას ბოლომდე თუ ჩაკითხავს, ეგებ ისიც თქვას, ყოჩაღ, დინამოელებოო და თავიც ინუგეშოს.

ისეთი მატჩი, რომელზეც ითქმის, წაგებული შემოტრიალდაო, „დინამოს“ ევროთასებზე სულ ორჯერ მოუგია. ბოლო 1981 წლის 13 მაისის თასების თასის ფინალი იყო.

გუშინ კი თავიდან 1994 წელი და საქართველოს ნაკრების პირველი საშინაო მარცხი რომ გაგვახსენდა, საქართველოს ჩემპიონებმა სწორედ მაშინ გამოიჩინეს ფხა და ის ფეხბურთი ითამაშეს, როგორითაც თავიდანვე უნდა დაეწყოთ.

ბოსკამპის კარგი მწვრთნელობა ერთხელაც გამოჩნდა. თუმცა კი მას ერთში ვერ დავეთანხმები — ბრაზილიელი ფორვარდი დე სოუზა პირველივე ტაიმის ბოლოში რომ არ შეცვალა და თამაში 72 წუთს ადროვა. რატომ უფრო ადრე არ მისცა მოედანზე გასვლის საშუალება წიტაიშვილსა და ხომერიკს? აშკარად ჩანდა, გუშინ მთელი „დინამო“ რომანენკოს კარისკენ უმეტესად ზურგით მდგარ დე სოუზაზე რომ თამაშობდა, ის კი ქომაგთა „ბრაზილიურ“ მოლოდინს ვერ ამართლებდა. რეალური. საგოლე მომენტები, მწვავე პასების გაკეთების საშუალება — დე სოუზამ ყველაფერი წყალს გაატანა. ზანტი და ტლანქი, აი, პირველი შთაბეჭდილება დინამოელ ბრაზილიელზე. მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მასთან ორთაბრძოლისას „ზიმბრუს“ მცველები სულ ერთხელ დაჯარიმდნენ. პირიქით კი სათვალავიც ამერია, იმდენჯერ დანიშნა ჯარიმა ავსტრიელმა არბიტრმა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მის სანუგეშოდ ერთის თქმა მაინც შეიძლება — ეტყობა, რომ სათამაშო პოზიციის შერჩევა იცის, რის დასტურად ბევრი გაცუდებული მომენტიც გამოდგება. ისიც ეტყობოდა, დინამოელებთან შეუთამაშებელი, თანაც უვარჯიშებელი რომ არის.

ახლა დანარჩენზე.

ჩვენებურებს, 68-ე წუთზე ადრე ავსტრიის „შტურმში“ მოთამაშე, ამ ცოტა ხნის წინ კი ქორწილის უდროო დროს დამნიშვნელი, მეუღლის კაპრიზებს აყოლილი, ამის გამო ფინეთში, მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშზე უარის მთქმელი და შედეგად ნაკრებიდან გარიცხული ვიქტორ ბერკოსგან გოლი რომ გაუშვეს, ზუსტად ორ წუთში მხსნელად ღმერთი და ბელგიელი მეკარე დენიტ დონდტი მოევლინა. 69-ზე იმავე ბერკოს დინამოელ მცველთა უყურადღებობითა და პოზიციური შეცდომებით რომ ესარგებლა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილს მეორეც გაეტანა, მაშინ კი მართლაც წასული იყო საქმე. ძნელია იმის თქმა, მერე რა მოხდებოდა...

„დინამოს“ კართან თუ რამ ხიფათი შეიქმნა, ყველაფერი მარჯვენა ფლანგიდან იწყებოდა. იქით მოთამაშე არჩილ სახვაძე პირველ ტაიმში ხშირად ტოვებდა თავის ზონას და წინ გარბოდა. დანარჩენ მოლდოველთაგან გამორჩეულ ეპურეანუსაც მეტი რა უნდოდა, ერთადერთ თავისიან თავდამსხმელს გონივრულ პასებს არ აკლებდა და ეპურეანუს, მართლაც კარგ ფეხბურთელს, მარცხენა ფეხით თამაში რომ ოდნავ უკეთ შეძლებოდა, ვინ იცის, კიდევ რას მოახერხებდა.

„დინამო“ პირველად მე-20 წუთზე გადარჩა. იმავე ეპურეანუმ მარჯვნიდანვე, ოღონდ ჯარიმიდან, ქართველთა საჯარიმოში ჩაწოდა და მასპინძელ მცველთა უკან დარჩენილმა ბორეცმა ბურთს ფეხი კარგად ვერ მოარტყა, თუმცა გულის გასახეთქად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ბურთი ადგილზე გაშეშებულ დონდტის კარის ძელს ოდნავ შეეხო.

იხილეთ მეორე გვერდი

შემოტრიალება

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

28 ივლისი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. 8 000 მაყურებელი

დინამო 2:1 ზიმბრუ

0:1 ბერკო (68), 1:1 წიტაიშვილი (82), 2:1 ხომერიკი (90)



„დინამო" — „ჟალგირისი" 2:0. კახა კალაძემ (№17) და კიეველებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირისკენ გააბიჯეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს და ბერკოს ზემოთაღნიშნული მომენტი იყო, რითაც „ზიმბრუ" ჩვენებურებს დაემუქრა. ჰო, ერთიც დოდულმა დაურტყა გუშინ მართლაც საიმედოდ მოთამაშე დონდტს, მაგრამ ეგ არაა სათვალავში ჩასაგდები. მოლდოველები ფაქტობრივად მთელი გუნდით თავს იცავდნენ, მხოლოდ მოძრავი ბერკო არ ეხმარებოდა დანარჩენებს. ცენტრთან იდგა და ჭიჭველიშვილისა და დიდავას გარემოცვაში თავის დროს ელოდა. აკი იდროვა.

ქართველთაგან თუ ვინმე რომანენკოს კარში ურტყამდა, მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი თენგიზ სიჭინავა იყო. იმდენჯერ გადაახტუნა სტუმარი მეკარე თავისი დარტყმულების მოსაგერიებლად, რომანენკოს ბარძაყიც ჩაულურჯდებოდა. რომანენკოსვე სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ზიმბრუ" დიდი ანგარიშით წაგებას გადარჩა. რომანენკოს ოსტატობაში მაშინ დავრწმუნდი, როცა სიჭინავას დარტყმულს დე სოუზამ თავით მიმართულება შეუცვალა და ბურთი სასწაულებრივად კუთხურზე მოიგერია. სიჭინავა ყველგან იყო, მცველებსაც ეხმარებოდა, პასებსაც ანაწილებდა, სტუმარ მცველებსაც ხშირად აფრთხობდა. სამწუხაროდ, თავის საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინეს ალექსიძემ და კიკნაძემ, მათ აშკარად გადაღლა ეტყობოდათ, ბურთსაც არცთუ იშვიათად აბარებდნენ მეტოქეს. თუმცა რაღა, „დინამომ" რომ თითქმის წაგებული მატჩი მოიგო, სწორედ მათი დამსახურებაა, ბუნებრივია, შეცვლაზე შესულ ხომერიკ-წიტაიშვილთან ერთად. ორივე გოლიც კიკნაძე-ალექსიძის ასისტენტობით გავიდა: 82-ე წუთზე საჯარიმოში ალექსიძის ჩაწოდებულ ბურთზე ისე უხერხულად დაურტყა რომანენკოს წიტაიშვილმა რომ ანგარიშიც გათანაბრდა: მეოთხე მსაჯმა ალმართა დაფა, რომელიც მატჩის 94-ე წუთამდე გაგრძელებას გვანიშნებდა და კიკნაძემაც დაახლოებით 70-მეტრიანი დრიბლინგი დაიწყო. გზად მან ყველა მომხვდურს აუარა გვერდი, ბოლოს საჯარიმოში შეჭრილმა ჩვენი ადრე გამამწარებელი ოპრეა გააცურა და ხომერიკს ჩაუწოდა, რომელმაც ბურთს მარჯვენა ჰაერშივე შეაგება და ულამაზესი გოლი შეაგდო.

დაბოლოს, როგორც რეზიუმე.

თბილისის „დინამომ" ურიგო შთაბეჭდილება როდი დატოვა. ბოსკამპს კი ყველაზე მეტი სამუშაო მცველებთან აქვს. შაშიაშვილი შეშინებული ჩანდა, დიდავა — დაბნეული, ჭიჭველიშვილს ბერძნებთან ნატკენი ფეხი, ეტყობა, ბოლომდე ჯერაც ვერ მოუშუშებია და ხანდახან ის და დიდავა ერთმანეთს დროულად ვერ აზღვევდნენ. სახვაძემ კი, რომელიც პირველ ტაიმში სულ წინ გარბოდა, შესვენების შემდეგ სისწრაფეს უკლო და დოდულს ერთი ორჯერ ჩამორჩა კიდეც. ერთი სიტყვით, მცველები დაზღვევას აგვიანებდნენ. ნახევარმცველებს შეთამაშება აკლდათ, ვასილ გიგიაძეს ეტყობოდა, რომ პარტნიორებთან თამაშის პრაქტიკა არ ჰყოფნიდა. დე სოუზაზე ვთქვით, მიხეილ აშვეთია კი, სიჭინავას მსგავსად, ყველასგან გამორჩეული იყო. თუმცა თვალში საცემი მისი ასისტენტობა გახლდათ, ის მეწყვილეებზე უფრო თამაშობდა, ვიდრე დანარჩენები აშვეთიაზე.

„დინამოს" ჰოლანდია-გერმანიაში ყოფნისას, კუთხურების ჩაწოდებაც დაუმუშავებია. ვასილ გიგიაძის ჩაწოდებულ ბურთებს დასწრებაზე მოთამაშე აშვეთია უკან აგდებდა, იქ კი ხან სოუზა სცოდავდა, ხანაც სხვა დინამოელები. ქართველთა კუთხურები უმეტესად ძალიან სახიფათო იყო.

კარგ ფეხბურთს მონატრებულ ქომაგთათვის სანუგეშო ეპიზოდებში დინამოელთა კომბინაციური თამაშიც გახლდათ. ჩანდა, რომ ჩვენს ჩემპიონებს, ასე თუ ისე, ესეც დაუმუშავებიათ.

საპასუხო მატჩის წინ კი, სხვების არ ვიცი და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. „ზიმბრუმ" კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მათ ფეხბურთელებს ის აკლიათ, რაც ქართველებს აქვთ. ჩვენებურთ გუშინდელი მატჩის შემდეგ ისეთი ვერაფერი შევნიშნე, ზიმბრუელებს რომ ჩამოუვარდებოდნენ.

პსვ-ზე კი ჯერ ნურაფერს ვიტყვით. ყველაფერს აჯობებს, უახლოეს ოთხშაბათს დაველოდოთ.

დინამო

1. დონდტი

24. შაშიაშვილი — 4. დიდავა — 6. ა. სახვაძე

3. ჭიჭველიშვილი

11. სიჭინავა

18. ვ. გიგიაძე — 7. კიკნაძე — 8. ალექსიძე

21. დე სოუზა — 10. აშვეთია

20. ბერკო

10. ეპურეანუ

15. ტროპანეცი

14. ბორეცი — 7. გელაზევი — 13. დოდული

6. კატინსუსი

8. ოპრეა — 5. ტელესნენკო — 3. კულიკი

1. რომანენკო

ზიმბრუ

შეცვლა: სახვაძე — 17. ხომერიკი (63), დე სოუზა — 9. წიტაიშვილი (63), ტროპანეცი — 17. ბუტელსკი (65), ეპურეანუ — 19. რიბაკოვი (85)

გაფრთხილება: სიჭინავა

მსაჯები: დ. დრაბეკი; ჰ. დენტერი, მ. ლაიდმაიერი; ჰ. ბიგმანი (ყველა ავსტრია)

უეფას დელეგატი: ვ. ბანიკოვი (უკრაინა)

თენგიზ სიჭინავა შორეული დარტყმით რომანენკოს კარს არაერთხელ დაემუქრა

აგებდნენ და მოიგეს

1972-73. უეფას თასის 1/32 ფინალი

დინამო — ტვენტე (ჰოლანდია) 3:2

0:1 იორინგი (5), 1:1, 2:1 გ. ნოდია (23, 53), 3:1 ყიფიანი (75), 3:2 იორინგი (77)

1980-81. თასების თასის ფინალი

დინამო — კარლ ცაისი (გდრ) 2:1

0:1 ჰოპე (63), 1:1 გუცაევი (67), 2:1 დარასელია (87)

ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი ეტაპი

პირველი წრე. 28 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ვალეტა (მალტა) 3:0

1:0 დოვი (54), 2:0 სავიჩევიჩი (74), 3:0 პენსკა (86)

ანორთოსისი (კვიპროსი) — სლოვანი (სლოვაკეთი) 2:1

1:0 ობიკუ (28), 1:1 პრნჩარი (53), 2:1 ობიკუ (88პ)

პარტიზანი (იუგოსლავია) — რიეკა (ხორვატია) 3:1

1:0 ილიჩი (10), 2:0 კრსტაიჩი (22), 2:1 სჟიპანოვიჩი (56), 3:1 კრსტაიჩი (85)

ცსკა (რუსეთი) — მოლდე (ნორვეგია) 2:0

1:0 შიშკინი (7), 2:0 ხომუხა (?6)

ლიტექსი (ბულგარეთი) — ვიძევი (პოლონეთი) 4:1

1:0, 2:0 ტოდოროვი (39, 80), 3:0 ჟივკოვიჩი (82პ), 3:1 ვიშნიარეკი (89პ), 4:1 კონდევი (90)

ჰაკა (ფინეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 1:4

0:1 ლორენცო ამორუზო (18), 0:2, 0:3 მოლსი (27, 42), 1:3 ნიემი (52), 1:4 იოჰანსონი (86)

დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — აიკ (შვედეთი) 0:1

0:1 ტიერნსტრიომი (90)

სლოგა (მაკედონია) — ბრონდბიუ (დანია) 0:1

0:1 დაუგაარდი (15)

ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 1:1

0:1 როსო (76), 1:1 აქმანი (90)

დინამო (უკრაინა) — ჟალგირისი (ლიტვა) 2:0

1:0, 2:0 შაცკიხი (37, 78)

ვესტმანაეიარი (ისლანდია) — მტკ (უნგრეთი) 0:2

0:1 ჰალმაი (26), 0:2 რიზინგერი (54)

მარიბორი (სლოვენია) — გენკი (ბელგია) 5:1

1:0 ბალაიჩი (25), 1:1 სტრუპარი (34), 2:1 გალიჩი (62), 3:1 კარიჩი (69პ), 4:1 სიმუნჯა (77), 5:1 დიურანოვიჩი (90)

რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) — სკონტო (ლატვია) 3:3

0:1 ჩალაძე (5), 1:1 ბარბუ (14), 1:2 ჩალაძე (32), 2:2 შუმახერი (52), 2:3 ასტაფიევსი (65), 3:3 მუტიკა (73)

ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი

პირველი წრე. 28 ივლისი

INTERTOTO CUP

როსტსელმაში (რუსეთი) — იუვენტუსი (იტალია) 0:4

0:1 ძამბროტა (8), 0:2 ინძაგი (67), 0:3 კოვაჩევიჩი (70), 0:4 ინძაგი (88პ)

რენი (საფრანგეთი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) 2:0

1:0 ბასილა (52), 2:0 იაპი (84)

ვესტ ჰემი (ინგლისი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:0

1:0 ლამპარდი (7)

მეცი (საფრანგეთი) — პოლონია (პოლონეთი) 5:1

1:0 მეირენი (3), 2:0 სანა (31), 3:0 გუსი (47), 4:0 სანა (63), 4:1 მაზურკევიჩი (85), 5:1 იესტროვიჩი (90)

დუისბურგი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) 1:1

1:0 ოსტჰოფი (25), 1:1 მაულიდა (39)

ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ჰამბურგი (გერმანია) 2:2

0:1 იებოა (58), 0:2 ჰოლერბახი (61), 1:2, 2:2 ჰამი (68, 73)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლდოველებმა დე სოუზა კიშინიოვში დაპატიჟეს



სემიონ ალტმანი

იოჰან ბოსკამპი და გია გეგუჩაძე

პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი არ გამოცხადდა. იგი მისმა თანაშემწემ, გია გეგუჩაძემ შეცვალა. „ზიმბრუს“ დამრიგებელი სემიონ ალტმანი ძალიან ჩქარობდა და პირველად სწორედ მას მოუხდა შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მატჩის თაობაზე ალტმანმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ და „დინამოს“ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ. კონტრშეტევებზე ვამახვილებდით ყურადღებას და თამაშიც გამოგვივიდა. მეორე ნახევარში აშკარად ცუდად ვმოქმედებდით. თქვენების აქტიურობამ საკუთარ ნახევარს მიგვაჯაჭვა. ჩემდა გასაკვირად, დინამოელებმა საჰაერო ბრძოლებშიც დაგვჩაგრეს და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა.

მიუხედავად თქვენების სრული უპირატესობისა, მაინც ვცდილობდით კონტრიერიშების განხორციელებას. კარგად გვესმოდა, რომ მარტო ბურთების მოგერიებით „დინამოსთან“ არაფერი გამოვიდოდა. თუმცა თქვენც ნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები.

— რატომ იყავით დარწმუნებული, რომ თავით თამაშისას აშკარად აჯობებდით მეტოქეს?

— საამისოდ კარგად ვიყავით მომზადებულნი. თანაც თამაშის ამ კომპონენტში ირლანდიელებმა გაგვავარჯიშეს...

— საბოლოო შედეგით კმაყოფილი დარჩით?

— საბოლოო შედეგი ორი შეხვედრის ჯამში დაფიქსირდება და ამაზე მაშინ გიპასუხებთ.

— „ზიმბრუდან“ ვის გამოარჩევდით?

— არავის. ასეთი რამის გაკეთება არ მჩვევია. ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია. მხოლოდ შედეგისთვის ვთამაშობთ. უამრავი ხარვეზი გვაქვს. მის აღმოსაფხვრელად ბევრი მუშაობა გვმართებს. ვერავის გამოვყოფ. ინდივიდუალურად „დინამოსთან“ მიზანს ვერ მიაღწევ. ქართველებთან მხოლოდ გუნდური თამაშით შეიძლება ფონს გასვლა. მარცხის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მეტოქეზე ინფორმაცია ფაქტობრივად არ გვქონდა. „დინამოს“ დასაზვერად ჰოლანდიაში და გერმანიაში წასვლა ვერ მოვახერხეთ.

— შანსებზე რას გვეტყვით?

— პროგნოზების გაკეთება მწვრთნელის საქმე არაა. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

— „დინამოდან“ ვინ დაგამახსოვრდათ?

— №7 (კიკნაძე), №8 (ალექსიძე) და №11 (სიჭინავა). ფორვადებზეც კარგი შთაბეჭდილება შემექმნა.

სემიონ ალტმანი აღარ შეგვიყოვნებია. ჩვენმა მოლდოველმა კოლეგამ მოგვიბოდიშა, მეც მეჩქარება და თუ შეიძლება, პირველ კითხვას დავუსვამ „დინამოს“ მწვრთნელსო. ხანშიშესულმა ჟურნალისტმა ჯერ შეხვედრის კომენტირება სთხოვა გია გეგუჩაძეს:

— ისე, მეტოქე არც ჩვენ გვყავდა ბოლომდე შესწავლილი. თუმცა „ზიმბრუს“ არანაირი სიურპრიზი არ შემოუთავაზებია. უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, მაგრამ, როგორც ნახეთ, უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. 2:1 კი ძალიან არამყარი რეზულტატია და ყველაფერი საპასუხო მატჩზეა დამოკიდებული.

მოლდოველ ჟურნალისტს, ეტყობა, კარგად ახსოვდა საბჭოური დროის ქართული ფეხბურთი. ალბათ, არაერთი თამაში ენახა ჩვენების მონაწილეობით და ისე ააღელვა დინამოელი ბრაზილიელი დე სოუზას მოქმედებამ, გია გეგუჩაძეს შემდეგი კითხვა მიახალა:

— მაღალი კლასის ფორვარდებით განთქმულ ქართველებს ასეთი რა გაგიჭირდათ, ლამის 120 კილოიანი ბრაზილიელი თავდამსხმელი რომ მოგიწვევიათ?

— ჩვენთან ერთად სულ რაღაც ორი კვირა გაატარა. ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია. ყველაფერს მას ნუ დავაბრალებთ. აქ ფსიქოლოგიური მომენტია გასათვალისწინებელი. დე სოუზას აქამდე ასეთი დონის შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია და, ეტყობა, ამანაც იმოქმედა.

ჩვენი მოლდოველი კოლეგა არ ცხრებოდა:

— როგორ შეიძლებოდა, ის ორი ახალგაზრდა ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე გყოლოდათ და ის ბრაზილიელი გეთამაშებინათ. შეცვლაზე შემოსულმა ბიჭებმა ძველი „დინამო“ გამახსენა...

— ეს დადებითი მოვლენაა. მივესალმები, რომ შეტევის ხაზში დიდი კონკურენცია გვაქვს. გოლის გატანა კი კვლავ პრობლემად რჩება. ბრაზილიელის თაობაზე ჩემი შეხედულება მაქვს.

მოლდოველმა ჟურნალისტმა კი ჯიქურ დაიცვა თავისი პოზიცია და წასვლისას გეგუჩაძეს დაუბარა:

— ძალიან მეწყინება, თუ კიშინიოვში დე სოუზას გარეშე ჩამოხვალთო.

ამ სიტყვებს დარბაზი ოვაციით შეხვდა.

გია გეგუჩაძესთან დიალოგი გაგრძელდა.

— ბოსკამპს აშკარად დაუგვიანდა შეცვლების გაკეთება, გვეთანხმებით?

— არა. რახან გაამართლა და მოიგეთ, ესე იგი ყველაფერი დროულად გაკეთდა.

— დაცვის ხაზი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

— 3:0 რომ მოგვეგო, ამ კითხვას, ალბათ, არ დასვამდით. როცა გუნდი გამუდმებით უტევს, უკანა ზონა ხშირად შიშვლდება. პრობლემები თითქმის ყველა რგოლში გვაქვს. გუნდში ბევრი ახალბედა და გამოუცდელი ფეხბურთელი, ჩვენც ძალიან გვეუხერხულება ყოველ წელს ამაზე საუბარი, მაგრამ სიმართლე უნდა ვაღიაროთ. იმ შემადგენლობიდან, „დინამო“ რომ ბილბაოს „ატლეტიკს“ ეთამაშა, მხოლოდ 5 წევრი შემოგვრჩა. მომავალში გუნდი უფრო დაიხვეწება.

— „დინამომ“ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ტაიმი ჩაატარა. რა იყო ამის მიზეზი?

— ალბათ, ის აუტანელი სიცხე, რომელიც პირველი ნახევრისას იყო. ბიჭები ვერ გაიხსნენ, სირბილიც უჭირდათ. ამ ფაქტორმა ძალიან იმოქმედა. მეტოქემ ისარგებლა ამით და თავისი ტემპი მოგვახვია თავს, ლამის მიგვაძინეს მოედანზე. მეორე ნახევარში კი უკან დასახევი გზა არ გვქონდა. მაინც მოვახერხეთ სხვაობის გაქვითვა და მერე გამარჯვება.

— გუნდს მარჯვენა ნახევარმცველი ფაქტობრივად არ ჰყავს. ვასილ გიგიაძეს ცენტრში უფრო მეტი სარგებლობის მოტანა ძალუძს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— „დინამოში“ მარჯვენა ნახევარმცველის პრობლემას ვერ ვხედავ. საბედნიეროდ, გიგიაძეს არამარტო ცენტრში, ფლანგზეც შეუძლია ნაყოფიერად მოქმედება. იგი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია ჩვენს გუნდში. ისე, ამ პოზიციაზე გიორგი შენგელიას დაყენებაც შეგვიძლია.

— პროგრამა-მინიმუმად რა გესახებად?

— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა.

თამაშის შემდეგ ქართველ ფეხბურთელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, კომენტარზეც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

კობა წიტაიშვილი: ძალიან ძნელი თამაში იყო. ბოლო ოც წუთს თუ არ ჩავთვლით, საძაგლად გამოვიყურებოდით. თუმცა მატჩის მიწურულს საგრძნობლად გამოვასწორეთ თამაში. ისის იყო შეცვლაზე შესასვლელად გავემზადე, რომ ჩვენს კარში დასანანი გოლი გავიდა. ამან ხასიათი კი გამიფუჭა, მაგრამ საბრძოლველად უფრო მეტად განმაწყო. თავიდანვე მქონდა წინათგრძნობა იმისა, რომ მინდორზე თუ შევიდოდი, გოლს აუცილებლად გავიტანდი. საბედნიეროდ, ბოსკამპმა მომცა თავის გამოჩენის საშუალება და მეც გამიმართლა. ახლა კიშინიოვში უფრო ძნელი შეხვედრა გველის, თუმცა დარწმუნებული ვარ, იქ უკეთ ვითამაშებთ და შემდეგ ეტაპზეც გავალთ.

მიხეილ აშეთია: გვწამდა, რომ „ზიმბრუს“ მოვუგებდით, მაშინაც კი, როცა გოლი გავუშვით. მოლდოველებმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ჩვენი გამარჯვება, ეტყობა, მაინც უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ განაპირობა. თავადაც ვხედავ, ამ მხრივ მეტოქეს, განსაკუთრებით მატჩის დასასრულს, აშკარად ვაჯობეთ. ერთ კვირაში გასვლაზე რთული თამაში გველის, თუმცა მჯერა, არ წავაგებთ.

მოლდოველებმა ფაქტობრივად მოგებული შეხვედრა ბოლო 8 წუთში წააგეს, „ზიმბრუს“ ფეხბურთელებიც რა გუნებაზე იქნებოდნენ, ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუმცა მატჩისშემდგომ კომენტარზე მხოლოდ გოლის გამტანმა ვიქტორ ბერკომ გვითხრა უარი, მაპატიეთ, ხასიათზე არ ვარო.

მეკარე დენის რომანენკომ, მისი თქმით, დასანანი ბურთები გაუშვა, თანაც დაამატა, დაუმსახურებლად წავაგეთ, მეორე რომ გაგვეტანა, აუცილებლად გავიმარჯვებდით. ყველაფერს კიშინიოვის მატჩი გადაწყვეტს. შანსები, ვფიქრობ, ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, ვნახოთო.

აი, მცველი *კონსტანტინ კულიკი,* წაგების მიუხედავად, ენაწყლიანი იყო: სიმართლე გითხრათ, დღეს ორი თანაბარი ძალის გუნდი შეხვდა ერთმანეთს. „დინამო“ ძალიან მომეწონა. თბილისელები მე ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაც ძალიან კარგად მახსოვს. დღევანდელი თამაში კი იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენ „დინამოსი“ გვეშინოდა. ვიბრძოდით, როგორც შეგვეძლო. სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გავუძელით თქვენი გუნდის ზეწოლას და ბოლოს მეორეც გავუშვით. რას ვიზამთ, ფეხბურთი თამაშია და წინ მეორე მატჩია. იმედი მაქვს, დღევანდელზე კარგად კიშინიოვში ვითამაშებთ და შემდეგ წრეშიც ჩვენ გავალთ. გოლები რომ მატჩის მიწურულს გავუშვით, ეს საერთოდ მოლდოვური ფეხბურთის სისუსტეა, ბოლომდე ბრძოლა ვერ ვისწავლეთ და დავისაჯეთ კიდეც. წინ მეორე მატჩია, შანსები კი თანაბარია.

იგორ ოპრეა: ძალიან დასანანია, თითქმის მოგებულ თამაშს რომ წააგებ, თუმცა რას იზამ, ფეხბურთი ასეთია. როგორც შეგვეძლო, ვიბრძოლეთ, მაგრამ „დინამო“ ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. ძალიან მსურდა, თბილისში ჩემი პირველი სტუმრობის მსგავსად გოლი ახლაც გამეტანა, თუმც ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გვსურს. ვეცდები, ეს საპასუხო მატჩში გავაკეთო. არანაკლებ გამიხარდება, თუ გოლს ვერ გავიტან, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც გავალთ. ისე, კიშინიოვში, გულშემატკივართა მხარდაჭერის მიუხედავად, ძალიან გაგვიჭირდება, რადგან „დინამო“ მშვენიერი გუნდია, თუმცა მთლად უშანსოდაც არ ვართ.

ხვიჩა სანიკიძე
ვანო ოქროპირიძე
გიორგი ვაშაკიძე

1:1 — კობა წიტაიშვილი

2:1 — ლევან ხომერიკი

სიტიმ შელია დუბლებში გადაიყვანა



მურთაზ შელია

ინგლისის პირველ დივიზიონელმა „მანჩესტერ სიტიმ“ ქართველი მცველი მურთაზ შელია ძირითადი გუნდის სიაში აღარ შეიყვანა. ამის შესახებ „სიტის“ მენეჯერმა ჯო როილმა გუშინ განაცხადა...

მისივე თქმით, „სიტი“ ჯერჯერობით არ ფიქრობს შელიასთან დაშორებას. ამიტომაც მოუგვარა ინგლისში სამუშაო ვიზის პრობლემა. როილმა ძირითად გუნდში დატოვა მეორე ქართველი კახაბერ ცხადაძე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კვლავ ტრავმირებულია და მოსამზადებელ პერიოდში ინგლისში არც ჩასულა. „ჩვენ კახას იმედი გვაქვს“ — თქვა როილმა.

შელიას აგენტი იმედოვნებს, რომ მურთაზი კარიერას შვეიცარიაში ან თურქეთში გააგრძელებს. ბოლო ინფორმაციით, კრისფა ფარნელი ქართველით „ტრაბზონსფორის“ დაიტერესებას ცდილობს. თუ გარიგება შედგა, შელია გახდება მეშვიდე ქართველი, არველაძეების, კაჭარავას, ბერაძის, ჯამარაულისა და ნემსაძის შემდეგ, რომელიც ბორდოლურჯ მაისურას მოირგებს.

სიმონ მენაბდე

ნიუკასლის შეფები გაბიჭდნენ

ქეცბაიას გუნდი შოტლანდიაში მესამედ შერცხვა, გულიტს კი ყველაზე დიდი ხელფასი შესთავაზეს

გუშინ „ნიუკასლი“ მესამედ შერცხვა შოტლანდიაში, ამჯერად „სელტიკ პარკზე“ ქეცბაიას გუნდი გლაზგოს „სელტიკმა“ დაამარცხა — 2:0. ეს გულიტის გუნდის ზედიზედ მეხუთე მარცხია საკონტროლო შეხვედრებში. ამის მიუხედავად, გუშინვე „ნიუკასლის“ მეპატრონეებმა „ბევრი სჯაბაასისა და ფიქრის შემდეგ“ (როგორც „სანი“ ცინიკურად შენიშნავს) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გულიტს კიდევ ორი წლით დარჩენა შესთავაზონ და ამ ხნის განმავლობაში ჰოლანდიელს 3 მილიონ 200 ათასი ფუნტი გადაუხადონ. ეს გარიგება (თუ შედგა) გულიტს ინგლისში ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად აქცევს. თვით ლეგენდარულ შოტლანდიელ ალექს ფერგიუსონს წელიწადში მხოლოდ ნახევარ მილიონ ფუნტს უხდიან.


რუდ გულიტი

ამ ინფორმაციას მედია ორიგინალური და უცერემონიო სათაურით შეეგება — „სელტიკ პარკზე კლინიკურ სიკვდილს დაგვიანებული სიგიჟეც დაემატა“.

კენი დალგლიშის „სელტიკმა“ მართალაც სასიკვდილო დარტყმა მიაყენა „ნიუკასლს“, რომელიც ძირითადი შემადგენლობით გამოვიდა. გულიტის გუნდში დებიუტი ჰქონდა „შტუტგარტის“ მეკარე მარკ ციგლერს, რომელსაც „სელტიკის“ ეიალ ბერკოვიჩმა და ავსტრალიელმა მარკ ვიდუკამ შავი დღე გაუთენეს.

„ნიუკასლმა“ რა შემადგენლობითაც დაიწყო, იმითვე დაამთავრა. ციგლერი, მარსელინო, გომა, დომი, სოლანო, დიუმა, სპიდი, შირერი, ქეცბაია, სერანტი.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან თემურ ქეცბაიამ შექმნა. მე-14 წუთზე დიდი დომის პასი შეუჩერებლად გაგზავნა კარში, მაგრამ სტივ კერიმ „სელტიკი“ გადაარჩინა.

ამის შემდეგ ვიდუკას დრო დადგა. მან, ქინქლაძის მაგივრად ნაყიდ სლოვაკ მორაჯჩიკთან და ბერკოვიჩთან ერთად, აიკლო ციგლერის კარი. ტაიმის ბოლომდე „სელტიკს“ ოთხი გოლი მაინც უნდა გაეტანა გერმანელისთვის.

მეორე ტაიმიც ქეცბაიას საგოლე შეტევით დაიწყო. ქართველმა 48-ე წუთზე კვლავ შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი „სელტიკის“ კარისკენ, მაგრამ ოდნავ გადააცილა. ამას კი „სელტიკის“ გოლი მოჰყვა, ბურთი ბერკოვიჩმა წამოიღო, ტეიბლი მონახა და — 1:0.

გოლმა „ნიუკასლი“ გააშეშა. შირერი საერთოდ არ ჩანდა. 12 წუთის შემდეგ ბერკოვიჩმა უკვე ავსტრალიელ ვიდუკას გაატანინა — 2:0.

„ძნელი სათქმელია, რატომ გადაყარა გულიტმა ფული მარსელინოში, დიუმაში, გომასა და დომში. ასეთი დაცვა ჩვენ პრემიერლიგაში დასარჩენად არ გამოგვადგება“ — კვლავ უცერემონიო იყო ადგილობრივი პრესა.

სიმონ მენაბდე

პსვ-მ საბერძნეთში კატასტროფა განიცადა

ერიკ გერეტსმა გუშინ ბერძნულ „პაოკსა“ და პსვ-ს შორის ამხანაგური მატჩის შემდეგ გაოგნებულმა დატოვა სალონიკის სტადიონი. ბერძნულმა გუნდმა თბილისის „დინამოს“ შესაძლო მეტოქე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის წინ 3:0 დაანგრია. ამასობაში კი ჰოლანდიურმა კლუბმა დაადგინა, რომ „დინამო“ — „ზიმბრუს“ შორის გამარჯვებულთან მატჩი ეინდჰოვენში შუაევროპული დროით, 20 საათზე დაიწყება.

სიმონ მენაბდე

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *ითან ბოსკამბი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი), ქებაძე(ლოკომოტივი) მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე,გოგიჩაიშვილი(?)	ს.გიგაძე,გ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(სამგურალი),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ლ. ხომერიკი(ბათუმი), ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი), გრიბოედოვი(ალანია,რუსეთი),დე სოუზა(გუარანი,ბრაზილია), დონდეტი(ლოკერენი,ბელგია),ზირაქიშვილი(არსენალი),ბათიაშვილი,ქემოკლიძე, გ.მიქაძე,ო.გველესიანი,აბრამიძე, ზ.ხიზანიშვილი(თბილისი)	ერეკანი (სოჩელი) 0:0, ქიფაში (ანერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდი (ჰოლანდია) 1:0, რაპიდ (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, ზეანი ვეიდი (ჰოლანდია) 2:1, ჩლმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფენჰაიმი(გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ.არჩვაძე(ბათუმი),დ.მუჯირი(შერიფი,მოლდოვა),კ.გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი), მარილიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშ-ვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური,ვ. კილასონია შ.ხუჯაძე(?)	ტრაპპაიძე,კალანდაძე,მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ღარნყალი),ოდიშარია (ცხუმი),არსოშვილი(შერიფი,მოლდოვა),რუსია(ბათუმი), ქებაძე (დინამო)	დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, კოლხეთი 2:1, 2:0
ბათუმი *ჯანი ქარნეკალე*	თორლაშვილი(თამაში მიატოვა),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ლ. ხომერიკი(დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულეჯიშვილი,გუჯაბიძე,ქუტიძე,ფუტკარაძე(?)	ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი)	ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირგვიშვილი(თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია (დილა),გ. მეტრეველი(აკადემია),თოდუა(იბერია),ხართიძვილი(დინამო,სტავროპოლი,რუსეთი)	დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4
არსენალი *დავით ჩახავა*	ზირაქიშვილი(დინამო),ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი)	გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვახტანგ გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2)	არსენალი-2 4:2, 1:1
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ.შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი), გ. ჯანელიძე,დარსაძე(იბერია),ბურნაძე,გ.კილასონია (?)	ჭყონია(სპარტაკი,კოსტრომა,რუსეთი),მ.ძოძუაშვილი(გურია),სადილიანი(სულორი),ი.ხაჭაპურიძე,კაკაბაძე(მარგვეთი),ზ. ფხაკაძე(იბერია),ხელაძე,ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ),ბოდოკია,კ. დიდავა , ხურაბიანი(ტორპედო-2), ნებიერიძე(სამგურალი-2)	ტორპედო 0:3
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ისიანი(თბილისი),ლ. ამბიძე(მერანი) გუგუნავა(არსენალი), ძნელაძე, დ.ბერიძე, ტყავაძე,ჩალაძე(?)	დ. ჩიგოშვილი(ღარნყალი),ფოფხაძე(ივერია)	ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0
თბილისი *ოთარ ქორდალიძე*	ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია(დინამო),ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ვ. ჩხაიძე(გურია), ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ),ისიანი(სიონი),ჩლაიძე (არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი),ბათიაშვილი ზ.ხიზანიშვილი(დინამო),ლ.ბერიშვილი(სლავია,მოზირი,ბელარუსი),გ.ყიფიანი(პანეტოლიკოსი,საბერძნეთი)	ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ. მეტრეველი,მაზანიშვილი(ტრანსფერზეარიან)	ვ.მისურაძე(ვიტ ჯორჯია), მახვილაძე(სამგურალი), გოგიაშვილი(ყემჩუეინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2)	დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლერსი (ბელგია) 1:1, ირონ (რიშონ, ისრაელი) 3:2
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	მ. ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაშუკელი,ჩადუნელი(?)	მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ველარკავა,მაკალათია (ფაზისი),დ. გოგოლაძე,სიმონიშვილი(თსუ),ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია ,ზ. კვეკესკირი(გურია),მგელაძე(მერცხალი)	თბილისი(მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2, 0:2
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი),ხუციშვილი(შერიფი,მოლდოვა), ბ. ამბიძე(?,ისრაელი),გ. კვეტენაძე,დ. ქელიძე(?)	კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ღარნყალი), პ. ლერსმანაშვილი(ოდიში),ლ. ამბიძე(სიონი),ნ. ყიფიანი,ლ. ხორხელი,ა.ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ)	ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, თბილისი 2:2, ჭაბუკიანი 1:0 ,არსენალი-2 1:2, დილა 1:3
იბერია *სოხო ფრუიძე*	ს.გიგიაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),ხუჭუა(კოლხეთი), თოდუა (ვიტჯორჯია), ზ.ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე,გ. დოლიძე,ვარდიაშვილი(?)	გ.ჯანელიძე,დარსაძე(სამგურალი),ო. მეტრეველი(ტორპედო 2, მოსკოვი,რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე(უნივერსიტეტი იბერია),ხურციძე, თ.მაღლა,კელიძე(ფაზისი),ფკანია(ოკეანე),გელაშვილი(ორიოლი,რუსეთი),ბინაძე (მარგვეთი),ნიკურაძე(გურია)	კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0, ოდიში 1:1, ბათუმი 1:5
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),რ.ახალკაცი(?,ბულგარეთი)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(ლოკომოტივი),ოქროპირიძე(გორდა)	ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5,თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3,მერანი 3:1
გორდა *იასონ ალადაშვილი*	რ.მახარაძე(მერცხალი),კედელაშვილი,მ. მელაძე(კოლხეთი), ოქროპირიძე(დილა),ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე,პ.მესხი(?)	თელიაშვილი(ღარნყალი),ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია),კ. პაპავა(ალგეთი), მიქავა (დინამო-2),ნადირაძე(ბათუმი),თ. მეტრეველი(?, საბერძნეთი)	ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი(კოლხეთი),ჭუმბურიძე,გაბელია(?)	ახალაძე(სამგურალი),ვ. ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირგვიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე(გურია),დ. არჩვაძე(ნიკა,ვინიცა,უკრაინა),დ. ხომერიკი,გ. მიქაძე, გ. გოცირიძე(ვაკე-91),კვიციანი,მ. ვაშაკიძე(აკადემია),კრავეიშვილი(ოკეანე), ფარქოსაძე(არმინია ამატორი,გერმანია)	გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*	ონიანი(ნისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ. გვაზავა(?)		

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის

მიაკარებენ იბერიას ეროსის?

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადებას სამტრედიელები სხვებთან შედარებით, დაგვიანებით შეუდგნენ. 10 ივლისს იყო, „იბერია“ პირველად რომ შეიკრიბა დიდი ჯიხაიშის ბაზაზე. „იბერიაო“, ვამბობთ, თორემ იმ დღეს გუნდის ძირითადიდან რამდენიმე მოთამაშე გამოცხადდა სავარჯიშოდ, დანარჩენები სრულიად გამოუცდელი, ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭები იყვნენ. ამის მიზეზსაც მოგახსენებთ.

წინა გათამაშების შემდეგ თუკი ვინმე დაზარალდა, ერთი „იბერიაცაა“. გუნდი ერთბაშად რვა ფეხბურთელმა დატოვა. ტყუპმა გიგიაძეებმა — ვასომ და სოსომ: ბიჭები დაწინაურდნენ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ისინი იოჰან ბოსკამპის „დინამოში“ იმკვიდრებენ ადგილს და მათი შრომისმოყვარეობისა რომ ვიცით, თავისას აუცილებლად გაიტანენ. შშობლიურ გუნდს ფოთის „კოლხეთი“ ამჯობინა დავით ხუჭუამ. კოლხებს მხოლოდ ინტერტოტოზე დაეხმარებიო, უთქვამს თავდამსხმელს, მაგრამ როგორც ჩანს, ფოთელთა თავკაცმა გია ტყებუჩავამ ხუჭუა საბოლოოდ გადაიბირა. ვეტერინარობა ისურვა სევასტი თოდუამ. იგი „იბერიაში“ მაინც დროებით გახლდათ და ახლა „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს. წინა სეზონში „სამგურალიდან“ მოსულმა ზვიად ფხაკაძემ ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი „იბერიის“ ძირითადში, ამიტომაც ისევ წყალტუბოს მიაშურა და იქ ერთხელაც ცდის ბედს. მეკარე გუბაზ დოლიძის და მცველ გივი ქველაძის ასავალ-დასავალზე სამტრედიელები არაფერს უწყიან. ესენი უკან, ალბათ, აღარ დაბრუნდებიან. „იბერიიდან“ თავისუფალია ნახევარმცველი დავით ვარდიაშვილიც.

თქმა არ უნდა, „იბერია“ მძიმე დღეში აღმოჩნდა, გუნდს დიდი ძალა გამოაკლდა და მისი კომპენსაცია არც თუ იოლი საქმე იქნება. მაგრამ, ხომ იცით, მგლის შიშით, და... „იბერიას“ მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე დღესდღეობით, ფაქტობრივად, ახალ გუნდს აყალიბებს. აქცენტი კი ახალგაზრდებზე გაუკეთებია და თითოეულ მათგანს დიდი ყურადღებით აკვირდება. ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ ბევრი აღარ დარჩა, ათიოდ დღეში კი გუნდში დამრჩენთა ვინაობა უნდა გაცხადდეს.

„იბერიას“ ახალწვეულები გაინტერესებთ?! ორი „სამგურალიდანაა“ წამოსული — გამოცდილი გივი ჯანელიძე და ნახევარმცველი შოთა დარსაძე. ქუთაისში აღზრდილები არიან გელა გელაშვილი და შალვა ბიწაძე. გელაშვილი ერთხანს ფრუიძის ხელმძღვანელობით თამაშობდა „სამგურალში“, ბოლოს კი რუსეთში ორიოლის გუნდში ირიცხებოდა. ბიწაძეს „ტორპედო 2“-ში, „მარგვეთში“, „მაღაროელში“ და „ზოოვეტში“ უთამაშია. მოსკოვის „ტორპედოს“ ფარმ კლუბში მოუსინჯავს ძალა გაგრელ ომარ მეტრეველს. თემურ მაღლაკელიძე და გიორგი ხურციძე სამტრედიელი ბიჭები

ფრუიძის თანაშემწე ვასილ შენგელია

მამუკა დარჩია სამტრედიიდან



სოსო ფრუიძე

მამუკა დარჩია სამტრედიიდან

„იბერიის“ თავდამსხმელი ბიძინა ივეჩიანი

მამუკა დარჩია სამტრედიიდან

არიან, გასულ სეზონში ფოთის „ფაზისისთვის“ ირჯებოდნენ. სამტრედიის „ოკეანედანაა“ გიგა ჟვანია. ლაშა ხმალაძე და დავით ოდიკაძე თბილისის „უნივერსიტეტი იბერიიდან“ არიან, გიორგი ადეიშვილი „აკადემიის“ ღირსებას იცავდა. ორი დღის წინ „იბერიაში“ ახალგაზრდა მეკარე გიორგი ნიკურაძეც მივიდა გასინჯვაზე. ის შარშან ლანჩხუთის „გურიას“ კარს იცავდა.

როგორც ვთქვით, ახლა ჯერი ფრუიძეზეა. ვის დაიტოვებს გუნდში მთავარი მწვრთნელი, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. ისე, ფრუიძის გუნდში მოხვედრა იოლი საქმე არ გეგონოთ. ორი კვირის განმავლობაში მან ორ დუჟინზე მეტი გასინჯვაზე მყოფი ახალგაზრდა დაიწუნა.

როგორც ვთქვით, „იბერიას“ ჩემპიონატისთვის მზადება დაუგვიანდა და ახლა ფორსირებულად გადის წვრთნას, ფორსირებულადვე მართავს საკონტროლო თამაშებს.

დიახ, ორიოდ კვირაში ფრუიძის შეგირდებმა ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. ჯერ-ჯერობით „იბერია“ ახალგაზრდული შემადგენლობით ფოთს ეწვია და 0:3 დამარცხდა. ერთ სამტრედიელებში „ეროსი მანჯგალაძეზე“ დაუხვდნენ საუფფო სამზადისში მყოფ თბილისის „ლოკომოტივს“ და 0:0 ეთამაშნენ. ფრუიძემ ამ მატჩში რამდენიმე ახალწვეული გამოსცადა.

24 ივლისს „იბერია“, ასევე შინ, მეორე შემადგენლობით პირველი ჯგუფიდან ჩამოქვეითებულ ზუგდიდის „ოდიშს“ შეხვდა და აქაც ფრე, ოღონდ — 1:1.

კვირას კი „იბერია“ ბათუმს ჩავიდა და იტალიელი ჯანი კარნევალეს გუნდს გაეჯიბრა ამხანაგურად. სამტრედიელებმა კარგად დაიწყეს, თავიდან უპირატესობაც ეპყრათ, მაგრამ მასპინძლებმა თანდათან იმძლავრეს, შეუთამაშებელ მეტოქეს სუსტი ადგილები მოუძებნეს და საბოლოოდ — 5:1. ბათუმელთაგან ორჯერ ტულუშმა, თითოჯერ მაჭუტაძემ, მინდაძემ და ამირან მუჯირმა გამოიჩინეს თავი, სამტრედიელთაგან ბურთი რობერტ ცომაიამ გაიტანა.

„იბერიის“ შემადგენლობა ასეთი გახლდათ: *ნიკურაძე, ბიწაძე, ჟვანია, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე (ნ. გიორგაძე), დარსაძე (ცომაია), ასათიანი, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ოდიკაძე), ხურციძე (ფილიპაშვილი).*

— ამ მარცხით ტრაგედიას არ ვქმნით, — გვითხრა თამაშის შემდეგ სოსო ფრუიძემ — გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია, ფეხბურთელებმა ჯერ ერთმანეთის სახელებიც კი არ იციან. წვრთნას 28 ივლისიდან გავნაგძობთ. 30-ში ერთხელაც ვეთამაშებით „კოლხეთს“, ოღონდ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ფოთში თუ სამტრედიაში. 1 აგვისტოდან ქვიშხეთში გვსურს შეკრების გავლა. „ვიტ ჯორჯიას“ გარდა, ალბათ, კიდევ ერთ მეტოქეს შევარჩევთ საკონტროლო თამაშისთვის.

რა გითხრათ, თავადაც კარგად ხედავთ რა დღეში ვართ, ბევრი გამოუცდელი მოთამაშე გვყავს. მაგრამ ჩემპიონატში უიმედოდ მაინც არ ვიქნებით, ზონაში ოთხეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ თამაში დაგვცალდა. ადვილი შესაძლებელია, „ეროსი მანჯგალაძეზე“ მატჩების გამართვა აგვიკრძალონ. სფფ-ის წარმომადგენლებმა უკვე ორჯერ შეამოწმეს სტადიონი და მკაცრი სანქციებითაც დაგვემუქრენ. სტადიონის ერთ ტრიბუნაზე მაინც დასაჯდომებია მოსაწყობი, ამის გარდა მოსაწესრიგებელია გასახდელები და კიდევ ბევრი რამ. მარტო კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი ყველაფერს ვერ გაწვდება. ცოდოა ეს კაცი. „იბერია“ მარტო მისი ხომ არ არის, არადა, როგორც ჩანს, სამტრედიაში გუნდი სხვას არავის ადარდებს.

იუზა კაციტაძე
ქუთაისიდან

ძუნძულით...

იბერიელი შალვა მუმლაძე (№6) ბათუმელებთან საკვირაო მატჩისას

პირველი ქართველი

ნუგზარ კალანდარიძის ფოტო

ვალერი გაგუა

...მეორე ტაიმი „კოპალას ბიჭების" უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩვენებმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, ტაქტიკითაც, ტექნიკითაც და გამძლეობითაც. ჩეხები ბურთის უმისამართო მოგერიებასაც ძლივს ახერხებდნენ. მასპინძლები კი მეტოქეს არ ეშვებოდნენ და ასე მომწიფებული მეორე გოლიც გაიტანეს. 78-ე წუთზე სათამაშოდ წუთით ადრე შესულმა ვალერი გაგუამ მენთეშაშვილის კარგი გადაცემის მერე ჩეხი მეკარე ტიხაჩეკი შორეული დარტყმით პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

დიახ, ვალერი გაგუას გოლმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს ასე სანუკვარი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოუტანა. ხუმრობა ხომ არაა, ევროპის 8 საუკეთესო გუნდში მოხვედრა...

მერე შვედეთი იყო. იყო იმედი, „კოპალას ბიჭები" დასახულ მიზანს, ხუთეულში მოხვედრას, მოახერხებდნენ. გულის სიღრმეში კი პრიზიორობაზეც ვოცნებობდით, თუმცა...

რაც მოხდა, კარგად იცით, ქართველმა 18-წლამდელებმა შვედეთში მხოლოდ ერთხელ, ირლანდიელებთან მატჩისას გაილაღეს, იტალიას და ესპანეთს კი...

მაგრამ ქართველი რის ქართველი იქნებოდა, თავისი მაინც რომ არ გაეტანა. საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები რვაგუნდიან ჩემპიონატში ბოლო ადგილზე კი გავიდა, მაგრამ საამაყო და სატრაბახო მაინც გვაქვს, ამხელა რანგის ტურნირის ბომბარდირი სწორედ რომ ქართველი გახდა. ვალერი გაგუა პირველია, ვინც ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, მოცილე კი, იცოცხლეთ, ერთბაშად ექვსი ჰყავდა, აქედან მარტო სამი იტალიელი იყო.

— ფინალს შინ ვუყურებდი. ჩემს კონკურენტებს, რინალდინის და სემიოლის ორ-ორი ბურთი ჰქონდათ გატანილი და რომელიმეს ერთიც რომ მიემატებინა... ძალიან ენერვიულობდი, ერთი სული მქონდა, არ გაეტანათ. როცა თამაში დასრულდა, სიხარულისგან ვიყვირე, სკამიდან წამოვხტი და თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი. ძალიან გამიხარდა, რომ ამას მივაღწიე. ამან ყველაფერი დამავიწყა, ჩეხებთან გატანილი დაუვიწყარი გოლიც. შეამაყება, რომ ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი, მე, ქართველი.

— მანამდე კი, 11 მაისს, ბათუმში ჩეხებს ისტორიული გოლი გაუტანე...

— ბურთი რომ ბადეში აფართხალებული დავინახე, სიხარულისგან რა მექნა, არ ვიცოდი, კარგა ხანს ვერც კი დამეჯერებინა. მერე როგორც აღმოჩნდა, ეს გოლი გადამწყვეტი ყოფილა. თავი ზღაპარში მეგონა. ჩვენ ხომ ევროპაზე გავედით და ქართველ ხალხს სიხარული ვაჩუქეთ. ჩეხებთან მატჩს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა ჩვენთვის. რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრას ხომ ერთი ნაბიჯი გვაშორებდა. მინდა, ბატონ ვახტანგ კოპალეიშვილს მადლობა გადავუხადო, რომ მენდო, ბოლო 15 წუთი მათამაშა და შანსი მომცა. მგონი, გავუმართლე. ასეთი სიხარული მანამდე არც კი განშეცადა. 11 მაისი უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში.

— ირლანდიელებს ორივე ბურთი შორეული დარტყმებით გაუტანე, მანამდე კი ჩეხების კარიც ასევე შორიდან დალაშქრე. შორიდან დარტყმები გეხერხება?..

— რა ვიცი, ალბათ, კი. ჩეხებთან გატანილზე იცით, ირლანდიელებთან კი, პირველი გოლისას, იმედაძემ მშვენიერი პასი მომცა და უმეთვალყურეოდ მიტოვებულმაც დაახლოებით ოცდაათიოდე მეტრიდან დარტყმა არ დავახანე, გოლი მართლაც ლამაზი გამომივიდა. მეკარისგან შორეულ, მარცხენა მაღალ კუთხეში შეფრინდა. მეორე ბურთისას კი ასისტენტმა უკვე კორნალიმემ გამიწია, ორ მეურვეს გავექეცი და მარცხენა მახვილი კუთხიდან დავარტყი, ბურთი ახლა უკვე მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში რომ დავინახე ბადეში გახვეული, ისეთი გრძნობა დამეუფლა, მოვიგეთო, ვიფიქრე მაგრამ... ალბათ, განგებამ ინება ასე, ირლანდიასთან მოგება არ გვეწერა.

— ჩემპიონატზე თამაშები ერთდროულად იწყებოდა და არც კი გეცოდინებოდათ, ამ დროს მეორე მატჩში რა ხდებოდა. ბოლო ტურის წინ, იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები ირლანდიას მოუგებდნენ, ჩვენ ესპანელები აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა. ამ შემთხვევაში კი ჯგუფში მესამეზე გავდიოდით. ალბათ, იცოდით ამის შესახებ...

— რა თქმა უნდა, ბოლო თამაშის დროს, პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე მატჩის ანგარიშიც ვიცოდით და გაგვიხარდა. მართალია, პირველი ნახევარი ესპანელებთან წავაგეთ, მაგრამ მაინც გვეგონა, რომ მეორეში მოვუგებდით.

ისე მოხდა, რომ ტაიმის საწყის 10 წუთში ორი ბურთი გავუშვით და გავტყდით, მერე კი გაქვითვა უკვე ძნელი იყო, მით უმეტეს, ესპანეთთან, რომელსაც, ჩემი აზრით, ჩემპიონატზე ყველაზე კარგი ნაკრები ჰყავდა. აი, ირლანდიასთან რომ მოგვეგო, გარწმუნებთ, არამარტო ხუთეულში მოვხვდებოდით, მესამე ადგილისთვის მატჩშიც აუცილებლად ვითამაშებდით.

— ჯგუფში სამივე მეტოქე საკმაოდ ძლიერი იყო, მაინც რის ხარჯზე მოახერხეს ჩვენი დაჩაგრა, ფიზიკურად ვერ იყავით ჯანზე თუ?

— იმას ვერ ვიტყვი, რომელიმეს ფიზიკურად ჩამოუვარდებოდით-მეთქი. ამისთვის ვახტანგ კოპალეიშვილმა სათანადოდ მოგვამზადა, მაგრამ მაინც ვთვლი, ამხელა რანგის შეჯიბრებაზე რომ მოვიკოჭლებდით, იმის ბრალია სათამაშო პრაქტიკა ძალიან რომ გვაკლდა. გერმანიაში ყოფნისას სამი ამხანაგური ი ვითამაშეთ, სამივე მოვიგეთ და გვეგონა, რომ ერთად ვიყავით, ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ისე არ იყო. ბატონი ვახტანგი ყველანაირად ცდილობდა, გუნდურად გვეთამაშა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევეწყვეთ. შეუთამაშობლობამ მაინც თავისი გაიტანა. მეტოქეები კი თვალდახუჭულნი გრძნობდნენ, რა უნდა ეკეთებინათ, ვინ სად იყო.

— შვედეთში ნაკრების უპირველესი მიზანი ხუთეულში მოხვედრა იყო...

— იტალიასთან წაგება, როგორც გითხარით, გამოუცდელობამ და ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა განაპირობა. თავიდანვე შებოჭილნი ვიყავით, გვეგონა, ძნელი იქნებოდა მათთან თამაში. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ისინიც ისეთივე ფეხბურთელები იყვნენ, როგორებიც ჩვენ. თუმცა იტალიისა და მისდარი გუნდების ფაქტორმა მაინც თავისი გააკეთა. ახლა ცივ გონებაზე რომ ვუფიქრდები, შეგვეძლო, უკეთ გვთამაშა, თუმცა მეორე ტაიმში ფორტუნამაც გვიღალატა, აპენინელებს ვაჯობეთ, მაგრამ მათ მეკარე შეუვალი იყო. ბოლოს კი კონტრშეტევაზე დაგვიჭირეს და სემიოლიმაც გაგვიტანა.

ირლანდიასთან კი მართლაც საცოდაობა იყო, ორჯერ ვიგებდით და ორჯერვე გაგვითანაბრეს. მესამე რომ გავიტანეთ, გვეგონა, მოვიგეთ. რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ თამაში იქამდე გრძელდება, სანამ მსაჯი არ დაასრულებს, კოპალეიშვილიც სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა, ბოლომდე ითამაშეთ, ყურადღება არ მოადუნოთო, მაგრამ ბავშვურმა აღტაცებამ, არიქა, მოვიგეთო, ყურადღება გაგვიფანტა და დავინაგეთ. ყოველივე ამან კი თავი ესპანეთთან მატჩში იჩინა. ფსიქოლოგიურადაც ვერ გადავეწყვეთ. ბოლოს კი გავიტანე პრესტიჟის გოლი, მაგრამ ეგ უკვე არაფერს ნიშნავდა.

— შვედეთში წასვლამდე ყველა ფიქრობდა, ნაკრებში უძლიერესი რგოლი დაცვა იყო, მაგრამ... ყველაზე სუსტად მცველები გამოიყურებოდნენ, კოპალეიშვილმა რა გითხრათ ამაზე?

— საერთოდ, ბატონი ვახტანგი წაგებას ფეხბურთელებს არ აბრალებს, აგებს გუნდი, აგებს მწვრთნელიო, პასუხისმგებლობას თვითონ იღებს. მართალია, ჩვენ, ფეხბურთელებიც, პასუხს ვაგებთ წაგებულ თამაშზე, მაგრამ კოპალეიშვილი პროფესიონალია, იცის, როგორ მიუდგეს ფეხბურთელს, მის ფსიქოლოგიურად მოგებას ერიდება. დაცვაზე კი რა უნდა ვთქვა, მიჭირს პასუხის გაცემა, თანაგუნდელებზე აუგის თქმა... ეს ჩემი შესაფასებელი არაა, ჩემი საქმე არ გახლავთ დაცვის გაკრიტიკება, ეს მწვრთნელის პრეროგატივაა.

— ლაშა ჯაკობიაზე გკითხავ. ფაქტია, მისი ტრავმის გამო ნაკრებს დიდი ძალა გამოაკლდა. ყველა ამბობს, აი, ჯაკობია რომ გვყოლოდა, მაშინ სულ სხვა იქნებოდაო, ასეა?

— ლაშა რომ გვყოლოდა, გარწმუნებთ, მარტო ხუთეულში კი არა მოვხვდებოდით, მესამე ადგილისთვისაც ვითამაშებდით. იგი დიდი ძალაა ჩვენთვის. როცა ლაშა მინდორზეა, უდიდესი სტიმული გვეძლევა. საზარდულის ტრავმის გამო აუნაზღაურებელი, შეუცვლელი ძალა გამოგვაკლდა, ბიჭებიც, რომ იტყვიან, ფრთამოტეხილნი ვიყავით, იგი რომ ყოფილიყო...

— გავიგეთ, ეკიპირების მხრივ ბიჭებს ცუდად ჰქონდათ საქმე, სასტუმროს ნომრებიდან სირცხვილით გარეთ ვერ გამოდიოდნენ, ერიდებოდათო, მართალია? გაკლდათ ყურადღება?

— ყურადღებას არ გვაქცევდნენო, ამას ვერ ვიტყვი, რაც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. ეკიპირების მხრივ კი ასეა, ეტყობა, საიმისო სახსრები არ იყო, რომ უკეთესი ხარისხის ფორმები ჩაგვეცვა. ალალად ვიტყვი, „საქართველოს ნაკრების წევრებს ასეთი ფორმები ნამდვილად არ ეკადრებათ. როდესაც გუნდი ამხელა რანგის ტურნირზე თამაშობს, სოლიდურად უნდა ეცვას. სხვებს ოთხი-ხუთი კომპლექტი მაინც ჰქონდა, ჩვენ კი... გვერიდებოდა, რომ ყოველ თამაშზე ერთი და იგივე ფორმით გავდიოდით. მწვრთნელმაც გვითხრა, რა ვქნა, ბიჭებო, ესენიაო. მართალია, ეს უფრო ფედერაციის საქმეა, მაგრამ, ალბათ, შეიძლებოდა, რომ უკეთესი ჩაგვეცვა.

— შვედეთის თემას გადავუხვიოთ, ორიოდე სიტყვით შენს საფეხბურთო ბიოგრაფიაზეც გვითხარი.

— ფეხბურთის თამაში 1985 წელს დავიწყე „ნორჩ დინამოელში" თენგიზ ჩარკვიანთან. მაშინ მეკარე ვიყავი. მერე კი გაიოზ დარსაძემ 16-წლამდელთა ნაკრებში მიმიწვია და ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მკითხა, წინ ხომ არ ითამაშებდიო. ვითამაშე, გოლები ხშირად გამქონდა. მერე ამხანაგური მარკინჯის შეხვედრის, 12 ვაჟის და ის ერთადერთი ბურთიც შე გავიტანე. დარსაძემ კარ მაიხსნა, მეგარეულ ფოსტა ძირევნია, წინ ითამაშო. მეორე მამამ რჩევები მომცა და მას მერე თავდამსხმელი ვარ. მგონი, არჩევანში არ შევმცდარვარ. შემდეგ მამაჩემთან ვვარჯიშობდი ორი წელი, მანამდე კი თემურ მახარაძესთანაც ვიყავი „ლოკომოტივში". ახლა, როგორც ხედავთ, ვახტანგ კოპალეიშვილის 18-წლამდელთა ნაკრების წევრი ვარ. დანარჩენი უკვე ჩემზეა. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო ამაგისთვის.

— მეკარე ვიყავიო თქვი, კარში დგომა გიყვარდა?

— თავიდან, ალბათ, ნორმალურად ვიდექი, საშუალო დონეზე ვიყავი, არც რეაქცია მქონდა ცუდი, მაგრამ სიმაღლემ მიმტყუნა, რაც მეკარისთვის მთავარია. ამ კომპონენტში დავიჩაგრებოდი და გაიოზ დარსაძემაც ბოლო მოუღო ჩემს მეკარეობას. ხოლო ახლა როგორი თავდამსხმელი ვარ, ეს უკვე მწვრთნელების შესაფასებელია, ჩემს თავზე რა ვთქვა.

— საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ბატონ რეზოს ვაჟი ხარ, მამის ფაქტორი როგორ მოქმედებს?

— ფეხბურთის ანბანი მამამ მასწავლა. იგია ჩემი გულშემატკივარიც და უდიდესი კრიტიკოსიც. რაც არ უნდა კარგი გავაკეთო, იგი ყოველთვის ნაკლს ეძებს და მერე რჩევებსაც მაძლევს. მას რომ ჩემთვის ბევრი არ ესწავლებინა, ჯერ რას მივაღწიე, მაგრამ ამდენსაც ვერ შევძლებდი. ერთი სიტყვით, მამის უდიდესი მადლიერი ვარ. სხვათა შორის, მამამ, როდესაც მის გუნდში ვიყავი, ერთი ორჯერ უდისციპლინობისთვის გუნდიდან გამიშვა, ვყოყოჩობდი, მაგრამ მერე ჭკუა ვისწავლე, სხვებს რაც მოეთხოვებოდათ, ორი იმდენი უნდა მეკეთებინა.

— დედა, იგი როგორ უყურებს შენს ფეხბურთელობას?

— ფეხბურთზე მამამ მიმიყვანა, დედას კი სურდა, მოცეკვავე გამოვსულიყავი. ერთი პერიოდი კიდეც დავდიოდი, მაგრამ თავში სულ ფეხბურთი მიტრიალებდა. დედაც ნელ-ნელა მიეჩვია, რომ მის შვილს ფეხბურთის გარდა არაფერი აინტერესებდა და რა უნდა ექნა. ახლა იგი ჩემს წარმატებას თუ წარუმატებლობას ძალიან განიცდის.

— დაოჯახებას არ აპირებ?

— ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია. შეყვარებული კი მყავს, მაგრამ... ჯერ ფეხბურთი. დაქორწინებას მერეც მოვასწრებ, ჯერ ხომ 18 წლის ვარ. ყველაფერი თავის დროზე იქნება.

— რა შესძინა საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე თამაშმა?

— ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინეთ. ჩვენივე თვალით ვნახეთ თანამედროვე ფეხბურთისთვის როგორი მიდგომაა საჭირო. როგორ უნდა მოვემზადოთ, რომ პროფესიონალები გავხდეთ. რა სჭირდება ქართულ ფეხბურთს, რომ შემდგომ ეს ყოველივე ჩვენდა სასიკეთოდ გამოვიყენოთ, მომავალში ევროპის ჩემპიონატზე თამაშისას არ შევრცხვეთ.

გიორგი ვაშაკიძე

ტორპედო ირონს (არ) ეამხანაგა

ჰოლანდიაში შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ამჯერად საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი ისრაელის უმაღლესი ლიგის მეშვიდე ადგილოსან რიშონის „ირონს" დაუპირისპირდა და 3:2 გაიმარჯვა.

ქუთაისელები მატჩის დებიუტშივე დაწინაურდნენ. მე-7 წუთზე გოგიაშვილმა საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. 25-ე წუთზე დავით ჯანაშიამ მეორე ბურთი გაუტანა რიშონელები — 2:0. ამის შემდეგ კი ტორპედოელებს საქმე გაკეთებულად ჩაუთვლიათ და მეორე ნახევარში „ირონს" ანგარიში გაუთანაბრებია. 57-ე წუთზე გატანილის შემდეგ, ებრაელებმა 4 წუთში თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან დაამწუხრეს მეკარე ჭანტურია — 2:2.

„ტორპედომ" იუარა ამხანაგური შეხვედრის ამხანაგური ანგარიშით დამთავრება და კვლავ დაეუფლა უპირატესობას. ამან შედეგი მალე გამოიღო. 68-ე წუთზე შეცვლაზე მოთამაშე იონანიძემ დალაშქრა „ირონის" კარი და თანაგუნდელებს ჰოლანდიურ შეკრებაზე პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

„ტორპედო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: *გრ. ჭანტურია, თავბერიძე (თურმანიძე 55), ვ. მაისურაძე, შეყრილაძე, მახვილაძე (ამისულაშვილი 46), ჩხეტიანი (ბ. ბობოხიძე 65), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, ვაჩიბერაძე (მაღლაკელიძე 65), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (იონანიძე 46).*

შეგახსენებთ, რომ 25 ივლისს ქუთაისელები ბელგიის თასის მფლობელ „ლიერსს" ესტუმრნენ და ფრედ 1:1 ითამაშეს. ბელგიელებთან „ტორპედომ" ამ შემადგენლობით იასპარეზა: *გრ. ჭანტურია, შეყრილაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, ახვლედიანი (ვაჩიბერაძე 58), კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, იონანიძე (ბ. ბობოხიძე 76), დ. ჯანაშია (კვერნაძე 85), მეგრელაძე (მაღლაკელიძე 46). გოლი დავით ჯანაშიამ ჩაიწერა ანგარიშზე.*

„ტორპედოში" ერთი სიახლეცაა. ახალგაზრდა მალხაზ ასათიანზე ცალკე უნდა ითქვას. ეს უდავოდ პერსპექტიული ჭაბუკი, ერთი წელია, უთამაშებელია. ამ ხნის განმავლობაში მას „იბერიის" პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი პატრონობდა.

ასათიანი „იბერიაში" კი ვარჯიშობდა, მაგრამ ვერ თამაშობდა, რადგანაც „ტორპედოს" საკუთრებად ითვლებოდა.

ქუთაისელებმა რამდენჯერმე უხმეს ასათიანს, ახალი კონტრაქტის გაფორმებაც შეთავაზეს, მაგრამ ბიჭი უარობდა, სამტრედიისკენ მიუწევდა გული. გუშინწინ ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ქუთაისს თავად „ტორპედოს" პრეზიდენტი მიხეილ ქორქია ეწვია და 18 წლის ასათიანი ახალ, სამწლიან კონტრაქტზე დაიყაბულა.

ხვიჩა სანიკიძე

REUTERS მეხიკოდან

უხარიათ მექსიკელებს. მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ ეგვიპტელებს ვერ დაამარცხებენ

ითამაშეთ ბოლომდე!

Mexico'99
FIFA CONFEDERATION CUP
24 July to 4 August, 1999

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს ბრწყინვალე სტადიონ „აცტეკაზე" პირველად საუდეთის და ეგვიპტის შეხვედრა გაიმართა, პირველი ჯგუფის მეორე ტურზე საუბარს მაინც მასპინძლებისა და ეგვიპტელების დაპირისპირებით დავიწყებ. და არა იმის გამო, რომ მექსიკა ტურნირის მასპინძელია, არამედ იმიტომ, რომ ეს შეხვედრა წინამორბედზე გაცილებით ლამაზი და საინტერესო გამოდგა.

მექსიკა კონფედერაციათა თასის გათამაშებას პირველად მასპინძლობს და დიდი სურვილი აქვს, თასი თავისთან დატოვოს. სურვილი სურვილად რომ არ დარჩეს, ამისთვის გვარიანი გარჯა და კარგად თამაშია საჭირო. მასპინძელ ფეხბურთელებზე ნამდვილად ვერ იტყვი, ძალას იშურებენ ანაც ცუდად თამაშობენო, უბრალოდ, მექსიკელთა ნაკლი ისაა, რომ ისინი შეხვედრას ადრე ამთავრებენ, ანუ ბოლომდე არ იბრძვიან, ამან კი შესაძლოა, წარმატების მიღწევაში ხელი შეუშალოთ.

ეგვიპტელებთან შეხვედრაში მასპინძლებს უცილობელ გამარჯვებას ვერ უწინასწარმეტყველებდი. ეგვიპტე ნამდვილად არაა საუდეთი, რომელთანაც თითქმის ყველა ასე თუ ისე კარგ გუნდს გამარჯვება განაღდებული აქვს. ეგვიპტეს ნაკრები მშვენიერი გუნდია და როგორც ჩანს, მისი თავკაცი მაჰმუდ ალ გოჰარიც არ უნდა იყოს ურიგო მწვრთნელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი შედეგი არ იქნებოდა.

მასპინძელთა გულშემატკივრები საყვარელ გუნდს თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე უსტვენდნენ. ქომაგების გულისწყრომა ჯერ კიდევ მაშინ იგრძნობოდა, როცა მექსიკა 2:0-ს იგებდა. მაყურებლები გრძნობდნენ, რომ ორი გატანილი გოლის შემდეგ მათი გუნდი ეგვიპტელებს თავისუფლად თამაშის საშუალებას აძლევდა და შესაბამისად, ცდილობდნენ, ფეხბურთელები გაემხნევებინათ. როგორც ხედავთ, მათ ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

„აცტეკაზე" შეკრებილი 85 ათასი გულშემატკივარი თავდაპირველად მასპინძელთა მე-13 ნომერმა, პაველ პარდომ გაახარა — კონფედერაციათა თასის გათამაშების ბომბარდირთა ლიდერის, კვატემოკ ბლანკოს პასის შემდეგ მან მარჯვენათი უძლიერესად დაარტყა და ბურთი ეგვიპტელთა კარის ბადეში გაახვია. სანამ ბურთი ელ ჰადარს გასცდებოდა, მანამდე ხარიხასაც შეეხო.

თოთხმეტ წუთში ეგვიპტელები უკვე ორი ბურთით ჩამორჩნენ — ხერმან ვილიას კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთს ხოსე მანუელ აბუნდისმა მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი. აბუნდისისთვის ეს მეორე გოლია ამ გათამაშებაში.

2:0-ის შემდეგ გავიდა დაახლოებით ათი-თხუთმეტი წუთი და დაიწყო ის, რაც გითხარით — მექსიკელებმა ჩათვალეს, მეორე მეტოქეც დავამარცხეთო და თავდასხმებს სიმწვავე მოაკლეს, ერთთავად ტექნიკის დემონსტრირებას უნდებოდნენ და გულშემატკივრებზე თამაშობდნენ. კარგია, როცა ქომაგს ასიამოვნებ, ლამაზი კომბინაციით თუ ფინტებით გაახარებ, მაგრამ შედეგზეც ხომ უნდა იფიქრო? მექსიკელებმა ეს დაივიწყეს, მეორე ტაიმში კი, როცა ხელიდან გაშვებულის დაბრუნება სცადეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — ეგვიპტელები ბოძებული თავსიუფლების დაკარგვას არ აპირებდნენ.

ვერ იტყვი, უხეში თამაში იყო, მაგრამ როცა კორეელმა მსაჯმა კიმ იონგ იომ 64-ე წუთზე იასერ რადვანი გააძევა, სულაც არ შემცდარა. ეგვიპტელმა უხეშად ითამაშა და წითელ ბარათს, თუნდაც მანამდე გაფრთხილებული რომ არ ყოფილიყო, ისედაც იმსახურებდა.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ფეხბურთელის მოსაკლისებამ ეგვიპტელებზე უფრო დადებითად იმოქმედა, ვიდრე მათ მეტოქეზე. მექსიკას თავისუფლად შეეძლო, საქმე გამარჯვებამდე მიეყვანა და ნახევარფინალშიც დაებევებინა ადგილი, მაგრამ პირიქით მოხდა — მასპინძელთა უპირატესობა საღღაც გაქრა და მათი ნახევარფინალში გასვლაც ერთი ტურით გადაიდო.

შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე ეგვიპტელთა მწვრთნელი მაჰმუდ ალ გოჰარი იტყვის, ფეხბურთელთა სულისკვეთებამ გამაოცა, მათი მადლობელი ვარო. იგი სრულიად მართალია — ათი ფეხბურთელით დარჩენილი აფრიკის ჩემპიონები მექსიკას ეკვეთნენ და იქამდე არ მოეშვნენ, სანამ შეხვედრა არ დასრულდა. მატჩის დასრულებამდე „ფარაონებმა" (ეგვიპტელთა მეტსახელია) ორი ძალიან საჭირო გოლიც გაიტანეს:

79-ე წუთზე ხორხე კამპოსი ეგვიპტელთა საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთს მოგერიებას ვერ ახერხებს და დასწრებაზე წამოსულ ჰასან აჰმედს გოლი გააქვს. ისევე, როგორც მექსიკელი აბუნდისისთვის, აჰმედისთვისაც ეს გოლი მეორეა ამ გათამაშებაში. თქვენ, ალბათ, ისიც გეცოდინებათ, რომ ბოლივიელებთან პირველი ტურის მატჩში აჰმედმა კონფედერაციათა თასის გათამაშების საიუბილეო, მეასე ბურთი გაიტანა.

სხვაობის შემცირებისთანავე მექსიკელები ეგვიპტელთა მარწუხებში მოექცნენ და მეორე გოლიც გაუშვეს. მასპინძელთა მცველები თავგამოდებით ცდილობდნენ სტუმართა თავდასხმების უკუგდებას, ძალას არ იშურებდნენ, მაგრამ იბრაჰიმის დარტყმულ ბურთთან ვერას გახდნენ. ეგვიპტელმა ნახევარმცველმა რომ ნახა, ახლოდან დარტყმას აზრი არ ჰქონდა, დაახლოებით 30 მეტრიდან გაისროლა. ბურთი კამპოსს გასცდა და კარში შევარდა. ანგარიში 2:2 გახდა. ეგვიპტემ ქულა გადაარჩინა და ბოლო ტურის წინ, სუსტ საუდელებთან მატჩამდე ნახევარფინალში გასვლის შანსიც შეინარჩუნა.

— გუნდით უკმაყოფილო ვარ. საუდელებთან მატჩის შემდეგ არ მეგონა, თუ ასე დასუსტდებოდა — განაცხადა მანუელ ლაპუენტემ, მექსიკელთა მწვრთნელმა.

ცნობისთვის: მექსიკამ კონფედერაციათა თასის გათამაშების მანძილზე მესამედ ითამაშა ფრედ.

რაც შეეხება ჯგუფის მეორე შეხვედრას, უფერული თამაში გამოდგა. არც საუდეთია ის გუნდი, სანახაობრივი, ლამაზი ფეხბურთი ითამაშოს და არც ბოლივია. ამიტომაც იყო მატჩი მოსაწყენი.

ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი ამ შეხვედრაში 90-ე წუთზე შეიქმნა და მაშინაც საუდელი იბრაჰიმ ალ შაჰრანას თავურის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა.

კონფედერაციათა თასის გათამაშების ისტორიაში ეს მესამე შემთხვევაა, როცა მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. 1995 წლის 10 იანვარს ერთმანეთს გოლები არგენტინამ და ნიგერიამ ვერ გაუტანეს, ორი წლის შემდეგ, 14 დეკემბერს კი — ბრაზილიამ და ავსტრალიამ. როგორც ხედავთ, სამივე შეხვედრაში ერთი გუნდი სამხრეთ ამერიკიდან იყო.

ლაზა გოდუაძე

მექსიკა 2:2 ეგვიპტე

1:0 პარდო (15), 2:0 აბუნდისი (26), 2:1 აჰმედი (79), 2:2 იბრაჰიმი (85)

მექსიკა: კამპოსი, სუარესი, მარკესი, ვილია, რამირესი, აბუნდისი (გარსია ასპე 55), ბლანკო, პარდო, პალენსია, კარმონა, გარსია

ეგვიპტე: ელ ჰადარი, ჰასანი, რამზი, იბრაჰიმი, მედათი, იუსუფი, რადვანი, აბრი, ემამი, ელ საქა, აჰმედი

გაფრთხილება: რადვანი (30), გარსია ასპე (77), აჰმედი (89)

გაძევება: რადვანი (64)

მსაჯი: კიმ იონგ იო (კორეა)

საუდეთი 0:0 ბოლივია

საუდეთი: ალ დეია, ჯაპანი (ა. ალ შაჰრანი 66), ალ ხილაივი, ალ დაუდი, ალ ჰარბი, ი. ალ შაჰრანი, სულიმანი, ალ სუბაიე, ალ ტემიატი (ბინ შენანი 78), ფალატაში (ალ ოტაიბი 46), ჰარტი

ბოლივია: ფერნანდესი, არანა, ალვარესი, სანჩისი, ტუფინიო, მორენო (ბოტერო 73), ეჩევერი (გალინდო 53), სანჩესი (გუტიერესი 46), მენაჩო, სორია, რიბერა

გაფრთხილება: ეჩევერი (19), ტუფინიო (22), ალ დაუდი (57), გუტიერესი (70), ა. ალ შაჰრანი (71)

მსაჯი: ბრაიან პოლი (აშშ)

A ჯგუფი

მექსიკა	2	1	1	0	7:3	4
ეგვიპტე	2	0	2	0	4:4	2
ბოლივია	2	0	2	0	2:2	2
საუდეთი	2	0	1	1	1:5	1

ბომბარდირები

ბლანკო	(მექსიკა)	4
ალექსი	(ბრაზილია)	2
აჰმუდი	(ეგვიპტე)	2
აბუნდისი	(მექსიკა)	2

ნორვეგია ამჯობინა

ნორვეგიის ნაკრების ახალგაზრდა ფერადკანიანი თავდამსხმელი იონ კარეუ სავარაუდოდ ქვეყნის უძლიერეს კლუბ ტროსეიერს „რუსენბორგში" გადავა.

19 წლის კარეუს კლუბმა „ვალერენგამ" გუშინ საღამოს ოფიციალურად განაცხადა, რომ „რუსენბორგი" თანახმაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 25 მილიონი ნორვეგიული კრონა ანუ 3,1 მილიონი დოლარი გადაიხადოს. თითქმის შეთანხმებული ხელშეკრულების თანახმად, ზემოხსენებული თანხის გარდა „ვალერენგა" „რუსენბორგიდან" დროებით ორ ფეხბურთელს დაიმატებს — მცველი მორტენ პედერსენი და თავდამსხმელი ბორგ ჰერნესი ჩემპიონატის დასრულებამდე კარეუს კლუბში ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ იონ კარეუს საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე „სტრასბური" იწვევდა, მაგრამ ტანმაღალმა ფეხბურთელმა საფრანგეთში თამაშს ნორვეგიაში დარჩენა ამჯობინა. სხვათა შორის, ახალგაზრდა ფორვარდმა „ვალერენგაში" თამაშისას 58 მატჩში 38 გოლი გაიტანა.

ფეხბურთის გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ იონ კარეუ ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობასთან ერთად გაზაფხულზე თბილისსაც ეწვია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სათამაშოდ. მაშინ იგი ეროვნულ სტადიონზე შეცვლაზე გამოჩნდა.

ირაკლი ილაზგილი

დაუკმაყოფილებლები

„პარმამ" ნამუსი სულ დაკარგა — რომელიღაც ლიგის კლუბი „მორეკსი" გამოიჭირა და არც მეტი, არც ნაკლები 31:0 მოუგო.

ვერ გეტყვით, რომ გაამწარა „პარმა" აგრერიგად. 31 (ოცდათერთმეტ) გოლს გატანა არ უნდა? რომ გადავთვალოთ, იტალიელებს სამ წუთში ერთი გოლი უნდა გაეტანათ. ასეც იყო — უეფას და იტალიის თასის მომგებმა „პარმამ" პირველი ტაიმი 15:0 მოიგო, მეორეში კი რეკორდს ერთით გადააჭარბა.

ალბერტო მალესანის გუნდის მიღწევა უდავოდ გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი.

პარმელთა ხორვატი ფეხბურთელის მარიო სტანიჩის შედეგიც სარეკორდოა — მეორე ტაიმში მან „მორეკსის" კარში რვა გოლი გაიტანა.

საერთოდაც იტალიური კლუბები ამ სეზონისწინა შეკრებებზე დაუნდობელნი არიან. ასე მაგალითად, ფლორენციის „ფიორენტინამ", ალპებში რომ ვარჯიშობს, ჯერ იყო და მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდ „ბორმიოს" მოუგო 15:0, შემდეგ კი კიდევ ერთ სამოყვარულო გუნდს გადაუარა — 12:0.

არანაკლებ დაუნდობელია სერია A-ში აღზევებული „ვენეცია" — კლუბმა ამ დღეებში ამხანაგური შეხვედრა 17:0 მოიგო.

გასაოცარია იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი კლუბის „ტორინოს" შედეგი — გუნდმა ექვსი ამხანაგური შეხვედრა მოყვარულ ფეხბურთელთა კლუბებთან საერთო ჯამში 85:1 მოიგო.

მთებში ემზადებიან „ბარი" და „კალიარი". ერთი 14:0-ს იგებს, მეორე 12:0-ს. „პიაჩენცამ" სოფლის გუნდებს 16:1 და 13:0 სძლია.

კოტე ვაიტაძე

სარბიელის არქივიდან

პარმელებს უეფას თასის მოგება გაუხარდათ. 31:0 მოგებული მატჩი პარმელებს ასე ნამდვილად არ გაუხარდებოდათ

მილიონები ფეხბურთისთვის

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ახალი, ძალიან მომგებიანი კონტრაქტი გააფორმა ირლანდიის ტელეკომთან, რომლის თანახმადაც ათი წლის განმავლობაში ტელეკომი ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციას დაფინანსებს. პირველადი ცნობების მიხედვით ირლანდიის ტელეკომი ასოციაციას ამ ხნის განმავლობაში 18 მილიონ ირლანდიურ გირვანქას, ანუ 24,3 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ირლანდიის ტელეკომის წარმომადგენლების განცხადებით, ზემოხსენებული თანხიდან 11 მილიონი ირლანდიური გირვანქა დუბლინას სამხრეთში, ახალი, 45000-ადგილიანი ეროვნული სტადიონის მშენებლობას მოხმარდება. მას „ეირკომ პარკი" დაერქმევა.

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის სახელწოდებაც სექტემბრიდან ოფიციალურად „ეირკომი" იქნება.

ექვსი მილიონი გირვანქა ირლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებს მოხმარდება, ხოლო დარჩენილი ერთი მილიონი ქვეყნის ჩემპიონატის დონის ამაღლებისთვის დაიხარჯება.

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, „ეირკომ პარკზე" პირველი შეხვედრის გამართვა 2001 წლის ოქტომბრისთვის იქნება შესაძლებელი.

ირაკლი ილაზგილი

პუშკაში რაინდად აკურთხეს

ოქროს დროება: ალფრედო დი სტეფანო და ფერენც პუშკაში

ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერეს თავდამსხმელს უნგრელ ფერენც პუშკაშს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა უნგრული სპორტის რაინდის წოდება უბოძა. სხვათა შორის, ვიქტორ ორბანი ერთადერთია ევროპის ქვეყნების პრემიერმინისტრებიდან, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ფეხბურთელადაა რეგისტრირებული.

— ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების 349 მატჩში მან 358 გოლი გაიტანა, ნაკრებში თამაშისას 84 შეხვედრაში 83 გოლი შეაგდო, დიდია მისი დამსახურება უნგრული სპორტისადმი — განაცხადა ორბანმა ქვეყნის პარლამენტში გამოსვლისას.

პუშკაში, რომელიც ახლა 72 წლისაა, მხცოვან ინგლისელ გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ. სწორედ ფერენც პუშკაში გახლდათ უნგრეთის იმ დიდი გუნდის ლიდერი, რომელმაც ინგლისის ნაკრებს „უემბლიზე" 1953 წელს 6:3 მოუგო.

უნგრეთის დიდი გუნდი 1956 წელს დაიშალა ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პუშკაში, რომელიც ამ ხანებში თავის კლუბ „ჰონვედთან" ერთად ევროპაში გაემგზავრა, სამშობლოში არ დაბრუნებულა — ესპანეთში, მადრიდის „რეალში" გადავიდა და ბრწყინვალე ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად თავდასხმის უძლიერესი წყვილი შექმნა. „რეალში" თამაშისას მან სამჯერ ჩემპიონთა თასი მოიგო, ექვსჯერ პრიმერა დივიზიონი, ორჯერ კი ესპანეთის თასი.

ძოტე ვაიტაძე

შუკერი დინამოში მიდის

ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი, ალბათ, კიევის „დინამოში" გადავა.

— მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა რა როგორ იქნება, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით — განაცხადა კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა. მისივე თქმით, ხორვატი ფორვარდი თავად შეხმიანებია კიეველთა მნვრთნელ ვალერი ლობანოვსკის და გუნდში გადასვლაზე ჩამოუგდია სიტყვა.

— ჩვენც და შუკერსაც გვსურს თანამშრომლობა, თუმცა ბოლო სიტყვა მაინც ლობანოვსკის ეკუთვნის. თუ მას არ უნდა, შუკერი „დინამოში" ვერ გადმოვა — განაცხადა სურკისმა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი დავორ შუკერი მადრიდის „რეალიდან" გაუშვეს მას შემდეგ, რაც თავდამსხმელმა კლუბის უელსელი მნვრთნელი ჯონ ტოშაკი გააკრიტიკა. ერთი ხანობა „რეალმა" შუკერს ორკვირიანი უხელფასო, დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, სულ ბოლოს კი ფეხბურთელი კლუბიდან გაუშვა.

უკრაინული სპორტული პრესის ცნობით, ხორვატი თავდამსხმელი კიევს მომავალ კვირაში ეწვევა.

სარბიელის არქივიდან

დავორ შუკერი პირველი ფეხბურთელია დასავლეთიდან აღმოსავლეთში წასვლა რომ მოიწადინა

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ვესტ ბრომვიჩს" გაისად ახალი მწვრთნელი ეყოლება. კლუბის აწ უკვე ყოფილ თავკაცი დენის სმიტი სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გუნდის ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. „სანდერლენდისა" და „ოქსფორდ იუნაიტედის" ყოფილმა თავკაცმა განაცხადა, რომ დღევანდელ ფეხბურთში უკვე აღარაფერი აკვირვებს, მაგრამ მისი გადაყენება ნამდვილად მოულოდნელობა იყო. „ახლა დროებით უმუშევარი ვარ, მაგრამ ფეხბურთში დაბრუნებას კვლავ ვაპირებ. რამდენიმე კლუბი უკვე შემეხმიანა, ალბათ, ერთ-ერთ მათგანს სათავეში ჩავუდგები" — თქვა სმიტმა, რომელმაც შარშან „ვესტ ბრომვიჩი" მე-12 ადგილზე გაიყვანა. სანამ ბრომვიჩელები ახალ მთავარ მწვრთნელს იშოვიან, გუნდს გლენ ჰოდლის ყოფილი ასისტენტი ინგლისის ეროვნულ ნაკრებში ჯონ გორმანი უთავკაცებს. იგი „ვესტ ბრომვიჩშიც" სმიტის თანაშემწე იყო.

იაპონიის ეროვნული ნაკრებისა და ურავას „რედ დაიმონდსის" 19 წლის ნახევარმცველი შინჯი ონო საავადმყოფოდან გამოწერეს, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ ის ვარჯიშს სექტემბრამდე ვერ შეძლებს, ხოლო თამაშს ოქტომბრიდან დაიწყებს. „მთლად ჯანმრთელი ნამდვილად არ ვარ. დროდადრო ფეხი ისევ მტკივა, მაგრამ იმედი მაქვს, გამოვჯანსაღდები და ფორმის აღდგენასაც მოვახერხებ" — განაცხადა ფეხბურთელმა. შინჯი ონო, რომელმაც ტრავმა 4 ივლისს ფილიპინების წინააღმდეგ გამართულ მატჩში მიიღო, დიდი ხანია, იაპონიის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. მას ამომავალი მზის ქვეყანაში ჰიდეტოში ნაკატას ღირსეულ შემცვლელად მიიჩნევენ.

ნორვეგიის ჩემპიონმა ტრონდჰეიმის „რუსენბორგმა" ლისაბონის „ბენფიკადან" უკან დააბრუნა სიგურდ რუშფელდტი, რომელიც გასულ თვეს პორტუგალიელებმა შეიძინეს. მიზეზი ის გახლდათ, რომ „ბენფიკამ" შეპირებული 30 მილიონი კრონის ნაცვლად ნორვეგიელებს ჯერჯერობით მხოლოდ 6 გადაუხადა. „პორტუგალიელებმა შეთანხმება დაარღვიეს. ამ მომენტისთვის მათ 20 მილიონი მაინც უნდა ჰქონოდათ ჩვენს ანგარიშზე გადმორიცხული, მეტს ვეღარ დავიცდიდით — განაცხადა „რუსენბორგის" ტექნიკურმა დირექტორმა რუნე ბრატსეტმა. „ბენფიკას" 31 ივლისამდე აქვს დრო, თუ მანამდე დავალიანება ვერ დაფარა, ნორვეგიის 1997 და 1998 წლების ბომბარდირი კვლავ რუსენბორგელი გახდება, ხოლო ის 6 მილიონი კრონა ჯარიმის სახით სკანდინავიელებს დარჩებათ.

სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელი შონ დანდი ინგლისური „ლივერპულიდან" 3 მილიონ მარკად (1,6 მილიონი დოლარი) გერმანულ „შტუტგარტში" გადავიდა. აღსანიშნავია, რომ 26 წლის დანდი, რომელსაც ერთი პერიოდი ბუნდესნაკრებში თამაში სურდა, ალბიონზე გერმანული „კარლსრუედან" გადავიდა, სადაც ვერა და ვერ დამკვიდრდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც იძულებული გახდა, „ლივერპული" დაეტოვებინა.

ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის" 17 წლის ფეხბურთელი ენტონი პარი ჰეროინის ხმარებაში ამხილეს, რისთვისაც მას საფეხბურთო ასოციაცია საკმაოდ ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მიუსჯის. „ძალიან ცუდად მოვიქეცი. მინდოდა, ცნობილი მოთამაშე ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემი ოცნება თვითონვე დავამსხვრიე" — უთხრა პარიმ ინგლისურ ყოველდღიურ გაზეთ „მირორს".

ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბმა „კორდობამ" ვეტერანი მცველი, თავის დროზე ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი რობერტო ფერნანდესი შეიძინა. 37 წლის ფერნანდესი პრიმერა დივიზიონის უხუცესი ფეხბურთელი გახლდათ გასრულებულ სეზონში. ბევრი ელოდა, რომ ფერნანდესი ფეხბურთელის კარიერას „ვალიარეალში" დაასრულებდა, თუმცა მოთამაშე, როგორც ჩანს სხვა აზრზე იყო. 80-იანი წლების უკანა მან ესპანეთის ნაკრებში 29-ჯერ ითამაშა, ხოლო 1989 წელს „ბარსელონას" შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასსაც დაეუფლა.

ინგლისის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზიმბაბველმა მეკარემ ბრიუს გრობელაარმა ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთ „სანსს" საქმე მოუგო. მსაჯულთა გადაწყვეტილებით გაზეთმა „ლივერპულს" ყოფილ მეკარეს ზარალის ანაზღაურების სახით 85 ათასი გირვანქა უნდა გადაუხადოს. გაზეთს ამ ჯარიმის გარდა კიდევ ნახევარი მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ სწორედ გაზეთ „სანსში" გამოქვეყნებული სკანდალური მასალის გამო მოუწია გრობელაარს სასამართლოებში პასუხისგება. მას პრემიერლიგის მატჩების შედეგების გაყალბება და სხვადასხვა ტოტალიზატორების დაკვეთით გოლების გაშვება ედებოდა ბრალად. გრობელაარს და რამდენიმე ეჭვმიტანილს „სანსის" წაყენებული ბრალდებები არ დაუმტკიცდათ.

ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდმა", რომელიც უეფას თასის საკვალიფიკაციო წრეში თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქეა, საკუთარ „უინძორ პარკის" სტადიონზე ირლანდიურ „დანდალკს" ამხანაგურ მატჩში 4:0 მოუგო.

რუსეთი

მე-18 ტური: სპარტაკი — ზენიტი 4:1; სატურნი — ლოკომოტივი 1:1; ნ.ნოვგოროდი — დინამო 1:3; ტორპედო — კრილია 3:1; როტორი — ურალანი 3:1; ყემჩუჟინა — ჩერნომორეცი 2:0

სპარტაკი	22	16	4	2	49:17	52
ლოკომოტივი	18	12	3	3	41:19	39
ცსკა	19	10	7	2	36:14	37
ტორპედო	19	8	9	2	24:17	33
დინამო	18	9	4	5	33:26	31
ალანია	17	8	4	5	34:23	28
როსტსელმაში	17	7	5	5	20:19	26
ზენიტი	19	6	7	7	24:23	25
ნ. ნოვგოროდი	18	6	4	8	22:27	22
როტორი	19	6	3	10	25:36	21
სატურნი	19	4	5	10	18:30	17
კრილია	19	4	4	11	23:34	16
ურალანი	18	4	4	10	12:24	16
ჩერნომორეცი	18	4	4	10	16:31	16
ყემჩუჟინა	18	2	7	9	13:31	13
შინიკი	18	2	6	10	11:30	12

ავსტრია

V ტური

ტიროლი 5:0 ლინცერი

1:0 გილევიჩი (2), 2:0 ჰიორტნაგლი (5), 3:0, 4:0 გილევიჩი (21, 49), შარერი (83)

გრაცერი 0:0 ზალცბურგი

რიდი 1:1 ლუსტენაუ

1:0 შტაინინგერი (10), 1:1 ბუტრეი (33)

ტიროლი	5	5	0	0	11:1	15
შტურმი	5	3	1	1	11:2	10
რაპიდი	5	3	1	1	6:3	10
ლუსტენაუ	5	2	2	1	8:5	8
აუსტრია	4	2	1	1	5:3	7
ზალცბურგი	5	2	1	2	3:4	7
რიდი	5	1	1	3	4:6	4
გრაცერი	5	1	1	3	3:10	4
ლინცერი	5	0	2	3	3:11	2
ბრეგენცი	4	0	0	4	2:11	0

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

იტალია

ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), აორონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ჯოე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურეტკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ძაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალონი (პერუჯა), ვაკენაარი (ტერეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანესე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლეროუ, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიმიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნიგვერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუკი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტიკი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიაგარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** ვენეციანა: რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო იავტა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეზარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი); არსენალი:** კაბა დიაგარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალეი (მიუნხენი, გერმანია);** ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელნიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლეკბერნი), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); **აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენროსი (ბლეკბერნი), სეფი ჰიიპია (ტოლბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევეერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტროაორე (ლავალი, საფრანგეთი);** ნიუკასლი: დავიდ ტერეე (ნიცა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლეროუა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **კევინ კემბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი);** ქოვენთრი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჯორჯ ბოატენგი (ქოვენთრი), ნაგუან გრაები (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი);** ლესტერი: კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); სანდერლენდი: მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); **ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია);** ლიდსი: ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერლი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); **მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენნ მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაკე (სოგნდალი, ნორვეგია);** დერბი: პაოლო ვანჩიპი (ვესტ ჰემი); **ესტებან ფუეტტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (ქრიუ);** ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); **პაოლო ვანჩიპი (დერბი);** შიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); **უალედ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილშოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია);** უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); **დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტინგემი);** ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმუთი), ენდი სინტონი (ვულვზი); **კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია);** საუთჰემპტონი: **დინ რიჩარდსი (ვულვზი);** უეფილდ უენსდეი: **ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიბონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორიგე სელტიკი, შოტლანდია);** ლი შარპი (ლიდსი), დევიდ ვატერლი (ლიდსი), გუნარ ჰალე (ლიდსი);

გერმანია

ბაიერნი თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა);** ლევერკუზენი ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოვეილი (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი);** ჰერტა ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კოსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა); დორტმუნდი ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინკი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეევი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), შტეფან შაპეზა (ვრასპოპერი); **ვიკტორ იკპბა (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი);** კაიზერსლაუტერნი მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ ძეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), პასკალ ოჭიგვე (კიოლნი); **ტომას სობოტიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (შეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი);** ვოლფსბურგი: როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი); **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკობორი (შტუტგარტი), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი);** ჰამბურგი მარტინ დალინი (ბლეკბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ალან იეპსენი (ჰერნენი); **ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), რიო პრეგერი (ვოლფსბურგი);** დუისბურგი სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი); **მიხაელ ციაირი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი);** მიუნხენ 1860 აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), **თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ფილიპ ტაბალოვიჩი (შალკე);** შალკე ჰამი (ტრაბზონსფორი), ფილიპ ტაბალოვიჩი (მიუნხენ 1860), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდხი (ბოხუმი), ებე სანდი (ბრონდბიუ);** შტუტგარტი ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ციაირი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიურნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი);** ფრაიბურგი დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპიჩი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ანდრეას ციაირი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლეკბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი).**

ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოგო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმეო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიხელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (ვენლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიხელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსეძა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეჭტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პეერი (ტენერიფე), მარტინ ველიკა (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოსი (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიბაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (პარსელონა), პარსელონო (ნიუკასლი, ინგლისი), ვალიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინთო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაციი (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტაძინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალეკს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგერი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერეუელესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯინი (ნეგელს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (მარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაბეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალიორკა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი);** კეიტ მუსამბა (ბორდო, საფრანგეთი), **რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორონო (ბილბაო), როტენენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: **ველასკო (სელტა);** ანხელი (ნუმანსია), ფერედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია); ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლი (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდო (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვეე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი);** მარსელი: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პავლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიაგარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერეი (ბასტია), სტეფან ტრევეზანი (გინგამი);** მონაკო: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შეპხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ);** პსჟ: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორხსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნაციონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე);**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასნერვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაა ზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთოდის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).
3. ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
4. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
5. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
6. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
7. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ევროპის ჩემპიონატები

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

რომელი გუნდი გაიმარჯვებს	
მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს	
იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს	
იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს	
იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
გრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
ᲒᲝᲠᲨᲘ — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ — კოსტავას ქუჩა 23
ᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ 13-ᲓᲐᲜ 16 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ

ჩილავერტი კვლავ ნაკრებშია

სარბიელის არქივიდან

ხოსე ლუის ჩილავერტმა ნაკრებში დაბრუნება ისურვა

სამხრეთამერიკელები მას ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ მოიხსენიებენ. ეს არის კაცი, რომელმაც თამაშის თავისებური სტილი აჩვენა მსოფლიოს, რომელმაც, გოლკიპერთაგან ერთ-ერთმა, მეტოქის კარში ბურთების გატანა დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს პარაგვაელი ხოსე ლუის ჩილავერტია.

ჩილავერტი თავის სამშობლოში, უკვე დიდი ხანია, ეროვნულ გმირად აღიარეს. ის პარაგვაიში ერთ უბრალო ფეხბურთელზე გაცილებით მეტია. მას უზომოდ უყვარს თავისი ქვეყანა, იზიარებს მის ჭირ-ვარამს და ამას თანამემამულენიც უფასებენ.

ახლახან დასრულებულ „კოპა ამერიკაზე“, რომელიც ჩილავერტის სამშობლოში ტარდებოდა, პოლიტიკური მოსაზრებების გამო იგი არ მონაწილეობდა. ამის მიზეზი ძირითადად ის იყო, რომ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს ყოფილი არგენტინელი გენერალი, ლინო ოვიედო ხელმძღვანელობდა.

— არასოდეს ჩავერთვები საქმეში, სადაც ოვიედოს ხელი ურევია. არ გეგონოთ, ამას პირადული მოსაზრებების გამო ვაკეთებდე, უბრალოდ, ოვიედოს ულირს ადამიანად ვთვლი. მის გამო მრავალი არგენტინელი თუ პარაგვაელი ახალგაზრდა დაიღუპა — თქვა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო კარის დარაჯმა.

ჩილავერტის საქციელი პარაგვაის პრეზიდენტმა რაულ კუბასმა არ მოიწონა. ის პირადად ესაუბრა მას, რისთვისაც არგენიტნაში ჩასვლა მოუხდა, მაგრამ მაინც ვერ დაარწმუნა მეკარე, ნაკრებში ეთამაშა.

— მესმის ჩილავერტის. ის ნამდვილი პატრიოტია, მაგრამ როცა ნაკრებს სჭირდება, გვერდში უნდა ამოუდგეს. მიუხედავად ამისა, მე მას არ ვამტყუნებ — აღნიშნა კუბასმა.

მოგვიანებით ფეხბურთელმა ისიც თქვა, რომ „ოვიედოს ფაქტორის“ გარდა მისი „კოპა ამერიკაზე“ უთამაშებლობა ქვეყნის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამაც გამოიწვია. მისი აზრით, როცა ქვეყანაში ხალხი ლამის შიმშილობს, ფეხბურთის თამაშის მგვირად სხვა რამეებზე ფიქრია საჭირო.

რამდენიმე კვირის წინ პარაგვაელმა გულშემატკივრებმა თხოვნით მიმართეს ჩილავერტს, რომ იგი ნაკრებში დაბრუნებულიყო, გუშინწინ კი მეკარისგან დადებითი პასუხი მიიღეს.

— მე დავბრუნდები. ვეცდები, პარაგვაის ღირსება 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც დავიცვა, თუმცა რა გამოვა, თვითონაც ნახავთ. მას შემდეგ, რაც ნაკრებში თამაშზე უარი ვთქვი, გამუდმებით მირეკავენ. გულშემატკივრები გუნდში დაბრუნებას მთხოვენ, სწორედ ამის გამო მოვიქეცი ასე. მინდა, აღვნიშნო, რომ მე თანამემამულეების ნება-სურვილს ვასრულებ — განაცხადა პარაგვაელმა.

გუშინ დილით ჩილავერტმა, რომელიც ამჟამად არგენტინულ კლუბ „ველეს სარსფილდში“ თამაშობს, ასუნსიონის რადიოსადგურ „მონტე კარლოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში გულშემატკივრებს თავად ამცნო ნაკრებში დაბრუნება. ამის გამო პარაგვაის დედაქალაქში დიდი კარნავალი გაიმართა.

კოკა ჭკადუა

არგენტინული ფეხბურთის მესაჭე

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა, რომ მიუხედავად კრიტიკისა, იგი ნაკრების მწვრთნელს, მარსელო ბიელსას მხარს უჭერს.

ბიელსამ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე დანიელ პასარელა შეცვალა, ჟურნალისტთა რისხვა დაიმსახურა „კოპა ამერიკაზე“ ცუდი თამაშის გამო.

ახლახან დასრულებულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში არგენტინა მეოთხედფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა და მთლიანად ტურნირშიც ცუდად ითამაშა.

ჯგუფური ტურნირის შეხვედრაში, კოლუმბიელებთან 0:3 წაგებული თამაშისას, არგენტინელთა თავდამსხმელმა, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელმა მარტინ პალერმომ სამი პენალტი ვერ გაიტანა, ამასთანავე, არგენტინელთაგან არავინ ითავა, პალერმოს ნაცვლად მესამე თერთმეტმეტრიანი დაერტყა.

არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელის მიმართ ჟურნალისტთა დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა პარაგვაიდან მიმავალმა არგენტინელებმა ასუნსიონის აეროპორტში ჟურნალისტების თვალწინ ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. განსაკუთრებით ნაკრების მწვრთნელი ბიელსა და „ეინდჰოვენის“ თავდამსხმელი ხოსე ლუის კალდერონი გამოირჩეოდნენ. გინება და აყალმაყალი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც საქმეში დიეგო სიმეონე და რობერტო აიალა ჩაერივნენ.

სარბიელის არქივიდან

მარსელო ბიელსას არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია მხარს უჭერს

ყველაფრის მიუხედავად, ხულიო გრონდონა, არგენტინული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის თავკაცი, ამბობს, რომ მას ბიელსასი სჯერა. გრონდონამ გაზეთ „ელ გრაფიკოს“ განუცხადა: „ის პატიოსანი, შრომისმოყვარე და გამრჯე მწვრთნელია“. როცა გრონდონას ჰკითხეს, აქვს თუ არა მწვრთნელს თანამდებობაზე დარჩენის უფლება, პრეზიდენტმა თქვა, რომ ბიელსას ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ „კოპა ამერიკას“ დაწყებამდე გრონდონა მარსელო ბიელსას იმის გამო აკრიტიკებდა, რომ ნაკრებში თამაშს კატეგორიულად არ სთხოვდა უცხოეთში მოასპარეზე რამდენიმე ფეხბურთელს, მათ შორის გაბრიელ ბატისტუტას, ხუან სებასტიან ვერონს, ფერნანდო რედონდოს, მატიას ალმეიდას და კლაუდიო ლოპესს.

— თუ ჩვენ ყველა სანაკრებო მატჩში ვარსკვლავებს არ მოვიწვევთ და შეხვედრებს ერთმანეთისგან განვასხვავებთ, იგივე დაგვემართება, რაც ბრაზილიელებს. პელეს ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ბრაზილიელებმა 24 წელიწადს ვერ მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი. არ მსურს, ჩვენც ასე მოგვივიდეს. მინდა, ყველა სანაკრებო თამაშში ქვეყნის ღირსებას უძლიერესი ფეხბურთელები იცავდნენ — სწორედ ამ სიტყვებს ამბობდა ხულიო გრონდონა „კოპა ამერიკას“ დაწყებამდე.

დღეს იგი ბიელსას, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უჭერს მხარს.

კოტე ვაიტაძე

გაზა ბრუნდება

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, „მიდლსბროს“ ნახევარმცველი პოლ გესკოინი ეროვნულ გუნდში დააბრუნოს.

შეგახსენებთ, რომ გესკოინი კიგანის წინამორბედმა გლენ ჰოდლმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ დაითხოვა ნაკრებიდან. მას შემდეგ გაზას ინგლისის უპირველეს გუნდში აღარ უთამაშია.

— გესკოინი ყოველთვის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი იყო. იგი იმ მოთამაშეთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც შეუძლიათ, თამაში თავიანთ თავზე აიღონ და, ვგონებ, ჩვენც ეს გვჭირდება. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. მინდა, სეზონი დაიწყოს, გაზას ორი კვირა დავაკვირდები და საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მივიღებ — თქვა კიგანმა, წარსულში ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა.

მაშ ასე, ინგლისი აგვისტოში 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავს ლუქსემბურგისა და პოლონეთის წინააღმდეგ. სავსებით რეალურია, ამ ორი ნაკრების მეკარენი სწორედ გაზამ დაამწუხროს.

ზვიად გაჩეჩილაძე

სარბიელის არქივიდან

პოლ გესქოინს ნაკრებში აბრუნებენ

გაქცევა რუმინულად

რუმინეთის „ჩაჰლაულის“ ნახევარმცველი გეორგე პანტაზი ინტერტოტოს თასის მესამე წრეში ტურინის „იუვენტუსთან“ საპასუხო თამაშის შემდეგ იტალიაში დარჩა.

— მან მეუღლესთან ერთად იტალიაში დარჩენა გადაწყვიტა, არადა, საამისო ოფიციალური დოკუმენტები არა აქვს — განაცხადა „ჩაჰლაულის“ პრეზიდენტმა მარიო კონტარდომ.

რუმინელებმა იტალიაში ფრედ 0:0 ითამაშეს, თუმცა შემდეგ წრეში „იუვენტუსი“ გავიდა.

კონტარდოსავე თქმით, გეორგე პანტაზის გარდა სამშობლოში დაბრუნება, კიდევ სამმა გულშემატკივარმა იუარა.

აი, საოცრება

გასულ სამშაბათს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ერთი უჩვეულო ფაქტი მოხდა. ბუქარესტის „რაპიდისა“ და პლოეშტის „ასტრას“ ამხანაგური შეხვედრის დროს შეცვლაზე შესული ასტრელი სტეფან ვრაბიორუ უეცრად ცუდად გახდა და მინდორზე დაეცა.

23 წლის ფეხბურთელი იმწამსვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იქ მისვლამდე გარდაიცვალა.

ამ ფაქტმა მთელი ევროპა გააოცა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც რუმინელმა ექიმებმა გარდაცვალების ზუსტი მიზეზები ვერ დაასახელეს, თუმც ნარკოტიკების ზემოქმედებასაც არ გამორიცხავენ.

— გამოძიება უკვე დაიწყო. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ყველაფერს ნათელი მოეფინება და დაზუსტებულ ინფორმაციასაც მოგაწვდით — განაცხადა ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა რობერტ კაზანჩიჩმა.

ვრაბიორუს ცხედარს ექსპერტიზას ექიმი ვლადიმერ ბელისი ჩაუტარებს. მისი თქმით, მან ჯერჯერობით არაფერი იცის, მაგრამ რამდენიმე დღეში გარდაცვალების მიზეზს აუცილებლად დაადგენს.

— სტეფან ვრაბიორუს სიკვდილი მოწმობს, რომ რუმინული ფეხბურთი ამჟამად დაბალ დონეზეა. წარმოიდგინეთ, ნუთუ შესაძლებელია, იგივე იტალიასა თუ ესპანეთში მოხდეს? — წერს რუმინული ყოველდღიური გაზეთი „ზიუა“.

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

15-24.07.99 სლოვენია

ბიჭებს გვტაცებენ!

ევროპელმა სელექციონერებმა ქართველ კადეტებს თავგზა აუბნიეს

ფოტო ფოტოკორესპონდენტ გიორგი ფოფხაძისა



ნუგზარ ჭეიშვილი

მოგილოცოთ, ბატონო ნუგზარ? — პირველად ეს ვკითხე სლოვენიიდან დაბრუნებული კადეტ კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს. ალბათ, კი, ძალიან თავმდაბლად მიპასუხა და ის თუ გაახსენდა, წასვლამდე გულშემატკივარს მედლების ჩამოტანას რომ დაჰპირდა.

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდია, სინამდვილე კი სულ სხვაა: ნუგზარ ჭეიშვილს არავისი არ უნდა რცხვენოდეს. მისი გაწვრთნილი ნაკრები სლოვენიიდან უმედლოდ, მაგრამ წელგამართული დაბრუნდა.

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ქართველი კადეტების ევროპის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაც კი წარმატება იყო. თექვსმეტწლამდელთა ამ თაობამ ჯერ ორი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და ასე გაერია ევროპის 12 უძლიერესი გუნდის მარაქაში.

ისეთი შეძლების და გაქანების ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს, ალბათ, მაქსიმუმი იყო, თუმცა თავად მწვრთნელი სხვაგვარად ფიქრობს და მეტიც შეიძლებოდაო, მეუბნება.

შეიძლებოდა, როგორ არ შეიძლებოდა, მაგრამ... როგორ? ეჰ, ორკვირიანი მზადებით რომ ჩემპიონი ხდებოდე... — იქვე ამოხსნა რებუსი ბატონმა ნუგზარმა.

ასეა, მხოლოდ ორი კვირა ივარჯიშა გუნდმა ერთად. ეგ იყო და ეგ...

— პირველსავე მატჩში რუსთა ძლევით ერთგვარი ფურორი მოახდინეთ. თავად თუ ელოდით ამგვარ დასაწყისს?

— ველოდი იმ მხრივ, რომ ჩემი ბიჭების მჯეროდა. ისე, წარმოდგენა არ მქონდა რუს კადეტებზე, სამაგიეროდ, მთლიანად რუსულ კალათბურთს კარგად ვიცნობ და ესეც ძალიან დამეხმარა, როგორც მოსალოდნელი იყო მათ ძალისმიერი ტაქტიკა დაგვიპირისპირეს, რაც არცთუ იშვიათად უხეშობაშიც გადადიოდა, მაგრამ პირველი თამაში იყო და ენერგიამოზღვავებულმა მოთამაშეებმა რუსები ფიზიკურადაც დაჩაგრეს. საუკეთესოდ ითამაშა ბაჩანა სულაძემ. შინ თავის მოვალეობას შესანიშნავად გაართვა თავი — გუნდის თამაში დაალაგა და ტაქტიკურად გაამრავალფეროვნა, პირველ შეტევაზე სწრაფად გადაჰქონდა ბურთი, რამაც მოწინააღმდეგეს წარმატების შანსი მოუსპო.

— გამგზავრებამდე თქვენგან ფავორიტად შერაცხულ რუსებთან მოგებამ გუნდზე როგორ იმოქმედა?

— ცხადია, დიდი სტიმული მოგვეცა — ჯგუფიდან გასასვლელად ერთი გამარჯვებაც გვყოფნიდა. მეორეს მხრივ, წინა გათამაშების ვიცე-ჩემპიონები დავამარცხეთ, რაც თავისთავად პრესტიჟული იყო. არ იფიქროთ, რუსებს ცუდი გუნდი ჰყავდათ. ახლაც ვერ მივმხდარვარ, რატომ ვერ მიაღწიეს უკეთეს შედეგს.

— მეორე დღეს ჩემპიონ იუგოსლავიელებს შეხვდით, რომელთაც კვლავაც შეინარჩუნეს ევროპაში პირველობა. მათი დამარცხება არ შეგეძლოთ?

— იუგოსლავიას მართლაც ბრწყინვალე გუნდი ჰყავდა, თუმცა არა დაუმარცხებელი. წესით, მოსაგები თამაში იყო, მაგრამ მსაჯებმა არ დაგვანებეს. ტურნირზე ერთი ავსტრიელი არბიტრი გადაგვემტერა, რამდენ მატჩშიც გვიმსაჯა, ყველა წავაგეთ. ასე იყო იუგოსლავიასთან, საბერძნეთთან და მეოთხედფინალში საფრანგეთთან. ერთი სიტყვით, არ გაგვახარა, მეტოქის უხეშობაზე თვალს ხუჭავდა, ჩვენიანებს კი პანტა-პუნტით ურიგებდა ჯარიმებს. ამ სამივე გუნდთან შეხვედრის ბოლოს წამყვანი მოთამაშეების უმეტესობა ხუთი ჯარიმით მეჯდა სკამზე.

რაც შეეხება კონკრეტულად იუგოსლავიელებთან შეხვედრას, მინდა გითხრათ, რომ თავიდან ყველაფერში ვაჯობეთ, ფარი მოვიგეთ და თამაში ჩვენი კარნახით წარვმართეთ. მატჩის დამთავრებას 10 წუთი უკლდა, 3 ქულას ვიგებდით, მაგრამ მერე მსაჯმა რამდენჯერმე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდი მოიშალა. მოედანი დაატოვებინეს ტულუშს და უგრეხელიძეს, რის შემდეგაც მივხვდი, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა — მაინც წავაგებდით. მეც მეორე შემადგენლობა შევუშვი, ძირითადი ბირთვი კი დავასვენე, იუგოსლავიელებისთვის თავი აღარ შეგვიკლავს.

— სწორადაც მოქცეულხართ. ამაზე თურქების 30 ქულით დამარცხებაც მეტყველებს...

— თურქები, რომ იტყვიან, გავანადგურეთ. დაცვაში ზონური პრესინგი ვირჩიეთ, რამაც მეტოქე დაბნია, მას ჩვენს ნახევარზე ბურთის გადმოტანაც კი უჭირდა. საწყის წუთებშივე მოვამთავრეთ საქმე — 20 ქულით დავწინაურდით. მეორე ტაიმში ერთხანს 35 ქულასაც ვიგებდით და მოწინააღმდეგეს სხვა გზა რომ აღარ დარჩა, დაგვნებდა. კალათბურთში პირსახოცის გადმოგდება რომ შეიძლებოდეს, თურქები ასე მოიქცეოდნენ.

— ბერძნებთან რაღა დაგემართად?

— საშინლად ვითამაშეთ. წინადღეს თითქოს ნაყოფიერად დავისვენეთ, ბიჭები მდინარეზეც გავასეირნეთ, მაგრამ... არაფერი გამოგვივიდა, გუნდმა თამაში ვერ ააწყო. ძალიან დაბალი იყო საშუალო მანძილიდან ჩაგდებულის პროცენტი, ფარქვეშიდანაც უამრავი ბურთი გავაფუჭეთ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ფარიც მოვიგეთ და ათასგვარი კომბინაციებიც დავხლართეთ, მაგრამ მოთამაშეები დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. ისეთი ხელსაყრელი სიტუაციიდან აცილებდნენ ბურთს, რომ თავადაც უკვირდათ. გარდა ამისა, თურქებთან შეხვედრაში ორი მოთამაშე დაგვიშავდა. კეიდიამ ფეხი გადაიბრუნა და გამოგვაკლდა, ცქიტიშვილს კი ცუდმა ფეხსაცმელმა ორივე ფეხის ცერა თითი დაუწყლულა და ჩვეულად ველარ ირჯებოდა. წინა დღეს მოგვეწამლა სულაძეც და აღარც ის დაგვიტვირთავს. ამ ყველაფერმა კი ბერძნებთან დიდი ანგარიშით მარცხი გამოიწვია.

— ვიცით, სლოვენიაში უსიამოვნებაც შეგემთხვათ. ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, ბერძნები და იუგოსლავიელები ქართველებს უჩივიან აქაოდა ფაჩულია და ტუღუში ასაგგადაზრდილები არიან და ნუ ათამაშებენო...

— ასეთი რამ მართლაც მოხდა. მელატვიელებმა მითხრეს, ბერძნებმა პროტესტი დაწერესო, მაგრამ სიმართლე მალე გაირკვა, საქართველოს ფედერაციაში ამ მოთამაშეთა ასაკი გადამოწმდა და... მომჩივანი მხარეც დაშოშმინდა.

— ჯგუფის ბოლო შეხვედრა მასპინძელ სლოვენიელებთან თქვენთვის თითქმის აღარაფერს წყვეტდა. თუ 46 და მეტ ქულას არ წააგებდით, მეოთხედფინალში მაინც გადიოდით. მიუხედავად ამისა, ბოლომდე იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ, რამაც მომდევნო წრეში მეტოქედ კვიპროსის საკვალიფიკაციო ტურნირზე თქვენი მჯობნი საფრანგეთის ნაკრები გარგუნათ. სლოვენიელებთან წაგების შემთხვევაში კი ეგრეთ წოდებულ უხერხულ მეტოქეს აიცილებდით და მაკედონიელებთან წარმატების მეტი პერსპექტივა გექნებოდათ. ეს ყოველივე წინასწარ არ გათვალეთ?

— რა თქმა უნდა, მეორე ჯგუფიდან საფრანგეთი ყველაზე არასასურველი მეტოქე იყო და ვცდილობდით, როგორმე მათ არ შეეხვედროდით. თავად ფრანგთა მწვრთნელმაც მითხრა, იქნებ რამე მოგვეფიქრებინა ისეთი, ერთმანეთს რომ არ დავუპირისპირდეთო. ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ-მეთქი, ვუთხარი, იმ იმედით, რომ მჯეროდა, საფრანგეთი ბოლო თამაშს ხორვატიას მოუგებდა, რის შემდეგაც ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდა. სლოვენიელების დამარცხების შემთხვევაში კი ჩვენ მესამეზე გავიდოდით და მეოთხედფინალში მაკედონიას შევხვდებოდით. ფრანგებს კი უფიქრიათ, ქართველები, ალბათ, მასპინძლებს დაუწვებიან, მოდი, ჩვენ ხორვატებს მივცემთ თამაშს და მათ ამ გზით ავიცილებთო. როგორც ნახეთ, სლოვენიელებს არაფერი დაუთმეთ, ფრანგებმა კი ხორვატებთან უღმერთოდ წააგეს და...

— კვიპროსის ტურნირის შემდეგ შეიცვალა ფრანგთა გუნდი?

— რამდენიმე მოთამაშე დაემატათ, გარდა ამისა, სათამაშო კლასიც შესამჩნევად აემაღლებინათ, გაცილებით ძლიერად და მომზადებულად გამოიყურებოდნენ, ვიდრე კვიპროსში.

— ისეთ ნაკრებს პირველი ტაიმი შვიდი ქულით მოუგეთ, მეორეში რაღა დაგემართათ?

— ჩვენ არაფერი, იმ ავსტრიელმა მსაჯმა დაგვაღალატა და მედლებიც ჩამოგვხსნა.

— რაში გამოიხატა მსაჯის მიკერძოება?

— იყო თუ არა, ყველაფერზე უსტვენდა. მარკოიშვილი, ფაჩულია, სულაძე და ბერიშვილი ხუთი პერსონალურით გაგვიგდო. უგრეხელიძეს და ცქიტიშვილსაც ოთხ-ოთხი ჯარიმა ჰქონდათ და დაცვაში ფრთხილობდნენ. როცა მეტოქენი მეტ-ნაკლებად თანაბარი დონისანი არიან, მსაჯის ერთი შეცდომაც კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. მართლა ერთი რომ ყოფილიყო, ხმის ამომღები ვინ იქნებოდა, ავსტრიელმა მთლად ხელი აიღო ნამუშზე და პრიზიორებს არ გაგვაკარა.

— იქნებ ფრანგებისთვის მსაჯსაც ვერ ეშველა, მათი გუნდის ლიდერის, დოროს წინააღმდეგ ჩვენებს უფრო წარმატებით რომ ეთამაშათ. დოროს მოგროვებული 41 ქულა მის სიძლიერეზე კი მეტყველებს, მაგრამ ჩვენს გუნდში ისეთი მოთამაშე არ აღმოჩნდა, რომელიც მის შეჩერებას შეძლებდა?

— ვიცოდით, რომ დორო დიდ პრობლემებს შეგვიქმნიდა და ამიტომ მას შიო ხეცურიანი ავადევნეთ, რომელსაც დაცვითი ფუნქციების შესრულება გუნდში ყველაზე კარგად ეხერხება. არ გაგვიმართლა, ხეცურიანი მეორე ტაიმის დასაწყისშივე დაგვემტვრა, გარღვევის დროს მუხლი ცუდად დაუხვედრეს და ფეხის კუნთი დაიზიანა, შეხვედრა ველარ გაგრძელა, დროსაც ხელ-ფეხი გაეხსნა. ქულათა უმეტესობა სწორედ მეორე ტაიმში გაახერხა, იქამდე კი ხეცურიანს მეტი-ნაკლებად შებოჭილი ჰყავდა.

— მატჩის მიწურულს ქართველთაგან აცილებული საჯარიმოები რაღაზე მიგვანიშნებს? პერსონალურების ზუსტად სროლის შემთხვევაში ხომ აჯობებდით მეტოქეს?

— ძალიან დასანანია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბიჭებს ნერვებმა უმტყუნათ. აღმოჩნდა, რომ ვერც ფიზიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. გაცუდებულ საჯარიმოებსაც ამას მივაწერ. ნერვიულობამ და დაძაბულობამ აკი თავისი გაიტანა. სხვა რა შეიძლება ითქვას, როცა მოთამაშე ბოლო წამებზე ოთხ საჯარიმოს გააფუჭებს. მარხვაშვილიმა საკუთარი თავის ხელში აყვანა ვერ შეძლო, რაც ერთის მხრივ ახალგაზრული ასაკის და გამოუცდელობის ბრალია. უმთავრესი კი მაინც არასრულფასოვანი მომზადებაა...

— მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში ლატვიასთან თუ წააგებდით, აღარ მეგონა. არადა, ეს გუნდი რიგაშიც დაგმარცხებიათ...

— ფრანგებთან წაგებამ კალათბურთელებზე ძალიან იმოქმედა. ბიჭები გულგატეხილები იყვნენ და ფსიქოლოგიურადაც სულ მთლად მოიშალნენ. ერთ დღეში, სამწუხაროდ, მწვრთნელებმაც ვერ შევძელით შოკიდან გამოსვლა და გუნდი საბრძოლოდ ვერ შევმართეთ. ერთი მონაკვეთი ლატვიელებმა 10:0 მოგვიგეს და მდევრის როლში აღმოვჩნდით. ამის მერე კი წამოვეწიეთ, მაგრამ კალათბურთელები აჩქარდნენ, იფიქრეს, ბარემ მოვუმთავრებთ საქმესო და პირიქით კი გამოვიდა. ერთ ეპიზოდში მეც ძალიან გავნერვიულდი და მსაჯისგან ტექნიკური შენიშვნაც დავიმსახურე.

— სამგზიეროდ, ესპანეთს გვარიანად გაუსწორდით და მეშვიდე ადგილიც მათთან ბრძოლაში მოიპოვეთ.

— უბრალოდ, ბიჭებმა თავისუფლად ითამაშეს. ჩემი დავალებებიც ზედმიწევნით შეასრულეს და შედეგმაც არ დაახანა. ესპანეთი ბოლო ხუთ წუთში გავტეხეთ, თორემ იქამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. ამ მატჩში ძალიან კარგად გამოიყურებოდა კოტე ტულუში. 30 ქულით ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

— და მაინც. ვის გამოარჩევდით ჩვენი გუნდიდან?

— ძალიან სტაბილურად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ. რუსეთთან მატჩში შეუდარებელი იყო ბაჩანა სულაძე, სასიამოვნოდ გამაოცა ბუბა ბერიშვილმაც — მისგან ამდენს არ ველოდი. დავრწმუნდი, რომ ვაჟკაცური სულის მატარებელია ტულუშიც. მან სლოვენიაში ისეთი თვისებები გამამჟღავნა, ვფიქრობ, მისგან კარგი კალათბურთელი დადგება. გაცილებით მეტს ველოდი დავით უგრეხელიძისგან, პერიოდულად იჩენდა თავს ნიკა ცქიტიშვილი, ალბათ, ტრავმამაც შეუშალა ხელი.

— გამგზავრებამდე ვარაუდობდით, რომ ბიჭებს იქ უცხოელი სელექციონერები შეესევიან და ამან იქნებ გუნდზე ცუდად იმოქმედოსო. ასრულდა თქვენი ვარაუდი?

— უკეთეს შედეგს რომ ვერ მივაღწიეთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იყო. კალათბურთელებს მოსვენება ღაუარგეს. იქით გვირეკავ ფაჩულიას ულაპარაკებიან, აქეთ გამოიხედავ ცქიტიშვილს, ტულუშს, თითქმის ყველას.

უცხოელებმა კარგად იციან, რომ ჩვენთან საკონტრაქტო სისტემა მოშლილია და ცდილობენ გადაიბირონ კაპიკებად ნიჭიერი მოთამაშეები. უმრავლესობა ტყუილსაც არ ერიდება, გამოუცდელი მოთამაშეებიც ხშირად ცდებიან და ამას მერელა ხვდებიან. ღმერთმა ქნას, ყველას გაუმართლოს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ ბიჭებს ჭკუის დამრიგებელიც სჭირდებათ. 16 წლის ბავშვის სურვილზე არ უნდა იყოს ყველაფერი დამოკიდებული, მისი თითოეული ნაბიჯი უნდა გაიზომოს.

ახლაც, ალბათ, ოქროს კოშკები აუგეს უცხოელებმა ჩვენს კალათბურთელებს, სულ რაღაც აფორიაქებულები იყვნენ, ვგრძნობდი, რომ სხვა აზრები აწუხებდათ და ყველა ინდივიდუალურად ცდილობდა თავის გამოჩენას, რაც გუნდისთვის საზიანო აღმოჩნდა.

— როგორც შევიტყვეთ, სამი ჩვენებური დაუტოვებიათ სლოვენიელებს...

— ცქიტიშვილი, კეიდია და უგრეხელიძე სლოვენიაში დარჩნენ და „ოლიმპიასთან" კონტრაქტებიც გააფორმეს. მწვრთნელი ვარ და კონტრაქტის დეტალები მეც არ ვიცი, რადგან გასაიდუმლოებულია.

ესპანელები დაინტერესდნენ ტულუშით და მარკოიშვილით, ორ კვირაში ვიზებს გამოგიგზავნით და არ დაგვაღალატოთ, ჩამოდითო, უთქვამთ ბიჭებისთვის ესპანელებს. ფაჩულიამ ფრანგები მოხიბლა და მათ შორის სერიოზული საუბარიც შედგა, თუმცა საამისოდ მათ ზაზა ჯერ თურქული „ულქერიდან" უნდა გამოიხსნან.

— იქაურ საცხოვრებელ პირობებზე არაფერი გითქვამთ.

— სტუდენტქალაქის შენობაში ვცხოვრობდით ყველა გუნდი. ცოტა მოკლე საწოლები იყო, მაგრამ რაღას ვიზამდით, სხვებიც ჩვენ დღეში იყვნენ. თავიდან კვებაზეც პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ მერე გავაპროტესტეთ და ულუფაც მოგვიმატეს და კერძებიც უფრო კალორიული გახადეს. სხვა მხრივ ყველაფერი იდეალური იყო, საკალათბურთო ბაზაც, თავისი დარბაზებით, ჩინებულად გამოიყურებოდა.

— თქვენი აზრით, იუგოსლავია ღირსეულად გახდა ევროპის ჩემპიონი?

— რატომაც არა. მათი მდგომარეობა რომ გითხრათ, შეიძლება არც დაიჯეროთ. იუგოსლავიაში, მოგეხსენებათ, არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, თურმე ათი თვე ეს ნაკრები ავსტრიაში ცხოვრობდა და საევროპოდ იქ ემზადებოდა. ერთი ტურნირიც არ გაგვიცდენია, ყველგან ვთამაშობდითო, მითხრა მათი დელეგაციის წარმომადგენელმა. ფულს თურმე მოსახლეობა უგროვებდა გუნდს და ესენიც დადიოდნენ სათამაშოდ, სადაც დაუძახებდნენ. ჩვენ ტურნირი კი არა, ორი წლის წინ ფორმები რომ შეგვიძინეს, ახლაც იმით ვთამაშობდით.

— ყოველივეს გათვალისწინებით, ევროპის მეშვიდეადგილოსნობა ნამდვილად კარგი შედეგია. თქვენ რას ფიქრობთ?

— 50 ქვეყნაში მეშვიდე ადგილზე რომ გახვალ, კარგი კი არა, ალბათ, ბრწყინვალე შედეგიცაა. ქართველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნიჭიერები არიან, მაგრამ ისიც ნათელია, მარტო ნიჭით ფონს ვერ გახვალ. მე რომ გუნდის სრულფასოვნად მომზადების საშუალება მქონოდა და რამდენიმე ტურნირზე გვეთამაშა, მაშინ მიღწეულს წარუმატებლობად ჩავთვლიდი. ამ შემთხვევაში კი რაც არის, იმას უნდა დავჯერდეთ.

— მომავალში თუ განაგრძობთ თექვსმეტწლამდელებთან მუშაობას?

— არ ვაპირებ. ამ ხნის მანძილზე ძალიან გადავიღალე და მინდა, ცოტა დავისვენო. ეგ კი არა, 1982 წელს დაბადებულთა მწვრთნელობაზეც უარი ვთქვი. აგვისტოში ამ ასაკის კალათბურთელებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევთ თამაში, თუმცა მე მათ ველარ დავეხმარები. ახლა სხვამაც გამოსცადოს, რა პირობებში მიხდებოდა მუშაობა.

გიორგი გიკაჯვილი

სტეფანიამ ყველას ყველაფერში აჯობა

ბოსტონის საზაფხულო ლიგა

NBA PHOTOS ბოსტონიდან

ბოსტონის საზაფხულო ლიგის თამაშებს ამერიკული კალათბურთის ლეგენდა რედ აურბახი (მარცხნივ) ესწრება. იგი „სელტიქსის“ მწვრთნელს რიკ პიტინოს ესაუბრება

სიეტლი 85:79 ნიუ ჯერსი

სიეტლი: ვინსონი (3), ვილიამსი (10), პატერსონი (12), მაკკოი (13), **სტეფანია** (21 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება); ლუისი (8), ელისმა (5), ნემბარდი (2), ჯონსონი (3), ფრიმენი, ბერი (8)

ნიუ ჯერსი: თომასი (7), გრანტი (11), მერდოკი (18), ჰარისი (6), უმმეიერი (4); მეშჩერიაკოვი (8), მუტავჯიჩი, პერი (8), ჯობიტი (2), კული (2), ბრაუნი (7), როჯერი (2), თაკერი (4)

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ კალიფორნიული ლონგ ბიჩის საზაფხულო ლიგა მოიღია და ახლა მის საპრინსპირო მხარეს, მასაჩუსეტსის ქალაქ ბოსტონის ანალოგიურ ტურნირში ჩაება. სადაც სიეტლია, იქ ქართველი ვლადიმერ სტეფანიაცაა — ჩვენებურ კალათბურთელს 1 აგვისტომდე კიდევ მოუწევს თამაში.

არ გაგიკვირდეთ, თუკი მოთამაშეთა უმრავლესობა თქვენთვის უცნობია: საზაფხულო ლიგის თამაშებისას არაა აუცილებელი, რომ მოთამაშეს კლუბთან კონტრაქტი ჰქონდეს. პირიქით, ბევრ კალათბურთელს იმიტომაც ათამაშებენ, რომ მათგან საუკეთესონი დაისაკუთრონ. „ნიუ ჯერსი ნეთსი“ ყველაზე შორს წავიდა — მის შემადგენლობაში ყველაზე მეტი ახალწვეული ისინჯება, მათ შორის ოთხი ევროპელი. თუკი ბელარუსებმა იგორ მეშჩერიაკოვმა და ალექსანდრ კულმა, აგრეთვე სლოვენიელმა მიშა მუტავჯიჩმა (ერთ დროს ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ სტეფანიას თანაგუნდელი იყო) ითამაშეს, ფრანგი ანტუან რიგოდო მწვრთნელმა დაასვენა.

თუმცა, ამ დღეს მოედანზე არც „ნიუ ჯერსის“ ევროპელებს ეთქმოდათ რამე და არც ამერიკელებს. ამის მიზეზი კი „სუპერსონიქსის“ ევროპელი, ქართველი ვლადიმერ სტეფანია იყო. ვოვა ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი იყო. მეტიც, ვერავინ შესძლო მასზე მეტი მოხსნის და დაფარების გაკეთება. სტეფანიამ 35 წუთი ითამაშა, სულ ცენტრად და განსაკუთრებით კარგად მეორე მეოთხედში გაისარჯა. მან ჯერ მეტოქეს ჩაუშალა შეტევა დაფარებით, მერე საჯარიმო ხაზის სიახლოვიდან ჩააგდო, ბოლოს კი სამქულიანი ესროლა ზუსტად. ეს მონაკვეთი სიეტლმა 8:0 მოიგო და 34:26 დაწინაურდა. საერთოდ, სტეფანიამ სამი სამქულიანიდან ორი ჩააგდო.

„სუპერსონიქსის“ მაქსიმალური დაწინაურება 12 ქულა გახლდათ. ვოვამ მეოთხე მეოთხედში 11 ქულა გააკეთა და გამარჯვებულის საკითხი საბოლოოდ მოხსნა დღის წესრიგიდან. „ნეთსში“ ყველაზე შედეგიანი იყო ერიკ მერდოკი, რომელმაც 34 წუთში 18 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი გააკეთა.

მორიგ მატჩს „სუპერსონიქსი“ გამართავს „ნიუ იორკ ნიქსთან“, რომელიც, ამ ლიგაში, სხვებთან ერთად, ფრანგ ჟულიენ ვეისს და თურქ მირსად თურქჯანსაც სინჯავს.

ჭეიშვილი ტექნიკოსებს განვრთნის

სეზონებს შორის შესვენებისას ქართული კალათბურთი, როგორც წესი, უქმობს. გუნდებიც თითქმის მთელ ზაფხულს ისვენებენ და ვარჯიშს მერელა შეუდგებიან ხოლმე. ასეა ახლაც, თუმცა ამ უმოქმედობის დროსაც ხდება წვრილმან-მსხვილმანი სიახლეები.

გეხსომებათ, მერვე ჩემპიონატის მიწურულს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა რომ დატოვა. მოგვიანებით მას დამხმარე ცირეკიძეც მიჰყვა და წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი სტუ ფაქტობრივად უმწვრთნელოდ დარჩა.

ახლახან კი შევიტყვეთ, რომ კლუბის პრეზიდენტ მამუკა კაციტაძეს ქალთა ეროვნული ნაკრებისა და კადეტ კალათბურთელთა მწვრთნელთან, ნუგზარ ჭეიშვილთან გაუმართავს მოლაპარაკება, თანხმობაც მიუღია.

— წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. კარგია, რომ ამიერიდან ჩვენში ერთ-ერთი ძლიერი კლუბის მწვრთნელი ვიქნები. გუნდს ჯერ არც შევხვედრივარ. 15 აგვისტოს შევიკრიბებით და მზადებას შევუდგებით. სად და როგორ, ეს მომავლის საქმეა — გვითხრა გუშინ ნუგზარ ჭეიშვილმა.

დღეს აფრიკა იწყებს

დღეს, 29 ივლისს ანგოლაში იწყება აფრიკის ჩემპიონატი. ეს ტურნირი იმითაა საინტერესო, რომ მისი გამარჯვებული სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

12 გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულები ავტომატურად სვდებიან ნახევარფინალში:

I ჯგუფი (კაბინდა): კაბო ვერდე, ალჟირი, ეგვიპტე, სენეგალი, მაროკო, მალი

II ჯგუფი (ლუანდა): ანგოლა, ნიგერია, მოზამბიკი, ტუნისი, კოტ დივუარი, სამხრეთ აფრიკა

აფრიკულ კალათბურთში რამეს წინასწარ განჭვრეტა, ცოტა არ იყოს, ძნელია, მაგრამ გარკვეული პროგნოზის გაკეთება მაინც შეიძლება. თითქმის უეჭველია, რომ ნახევარფინალში გავა ანგოლა. მასპინძლების გუნდი ყველაზე გამოცდილია, მას ვეტერანი ცენტრი ჟან ჟაკ კონსეისაო მეთაურობს. ბევრს ელიან 19 წლის ჟოაკიმ გომეშისგან, რომლითაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

ფავორიტთა შორის იხსენიებენ სენეგალს, ნიგერიას და ეგვიპტეს. სენეგალს ბოუბაქარ ავის იმედი აქვს. ეს კაცი აფრიკის წინა ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე გამხდარა. ნიგერია, თურმე, ფიზიკურადაა კარგად მომზადებული, თუმცა ჯერ არაა გადაწყვეტილი ქვეყნის წარმომადგენლობითი კალათბურთელების ვინაობა. ბევრს, მაგალითად, ეროვნული ოლიმპიადის ჩემპიონატში მიღებული ბალი ეყოფა. ეგვიპტეს კი იტალიელი მთავარი მწვრთნელი მარიო ბლაზონე და ორი გოლიათი — ჰოსამ ელ ვაკელი (215 სმ) და სამირ გუდა (218 სმ) ჰყავს.

ყველაფერია მოსალოდნელი მალისა და სამხრეთ აფრიკისგან. მალის რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელი ჰყავს, რომელთაგან სუმაილა სამაკე ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ თამაშობს, ხოლო უსმანე სისე, მოჰამედ დიაკიტე, სალიუ-ბინეტ ტელი და ლამინე დიავარა ამერიკის სხვადასხვა ლიგებში გამოდიან. სამხრეთაფრიკელებს სტეფან დეილის, კურტ ჰოლდს, მაიკ კნოტცეს, ჯონ რაიტს და ძმებ ვან ბეკშტორმებს ზურგს ამერიკულ სტუდენტურ ლიგაში მიღებული გამოცდილება უმაგრებთ.

შრემპფი სიეტლიდან მიდის?



დეტლეფ შრემპფი

„სიეტლ სუპერსონიქსში“ სენსაცია მწიფდება. კლუბის გერმანელი ვეტერანი, ფორვარდი დეტლეფ შრემპფი წასვლას აპირებს, კალათბურთელის თქმით, იგი ან „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ გადავა, ანაც კალათბურთს თავს დაანებებს.

შრემპფი ამჟამად თავისუფალი აგენტია, ანუ საკონტრაქტო ვალდებულება არავისთან აქვს და მომავალი კლუბის არჩევაც თავის გემოზე შეუძლია. ცხადია, თუკი ფინანსური მხარე მოეწონება...

რა გასაკვირია, რომ, „სუპერსონიქსმა“ პირველმა გუამართა მოლაპარაკება შრემპფს, მაგრამ გერმანელმა კლუბის მიერ შეთავაზებულ გასამრჯელოს „დამამცირებელი“ უწოდა და განაცხადა, თუკი წინა სეზონში 4 მილიონი მივიღე, ვიმსახურებდი და იმიტომო.

ახალი სეზონისთვის სიეტლმა 36 წლის შრემპფს ხელფასად 1 მილიონი დოლარი შესთავაზა. ამაზე კალათბურთელი გაცეცხლდა: „სუპერსონიქსი“ მეუბნება, რომ ჩემი დატოვება სურს, მაგრამ თან დასძენს, შენთვის მოსაცემი ფული არა გვაქვსო. ფულში არ არის საქმე, მთავარი ღირსებაა... მე თამაში მინდა და გადავწყვეტ კიდეც, სად ვითამაშებ“.

თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გაფორმების ნება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებს 1 აგვისტოდან მიეცემათ. ცხადია, სიეტლს შეუძლია დაიტოვოს შრემპფი. ძველი ხელფასის ფასად, სამაგიეროდ ფული სხვებს უნდა დაკლოს. ეს კი კლუბის გეგმებში არ შედის. „სუპერსონიქსს“ სერიოზულად გადაუწყვეტია „ვაშინგტონ ვიზარდზიდან“ უკანახაზელი მიჩ რიჩმონდის გადმოყვანა, ამას კი დიდი ფული სჭირდება.

„სუპერსონიქსის“ პრეზიდენტი ვალი უოქერი ამჟამად გუნდს ბოსტონის საზაფხულო ლიგის თამაშებზე ახლავს და ამიტომ მისი აზრის შეტყობა ვერ მოხერხდა. კლუბის ხელმძღვანელობიდან გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, სიეტლმა შეიძლება გააფორმოს კონტრაქტი შრემპფთან, შემდეგ კი გაყიდოს.

ამასობაში თავად შრემპფი გოლფს თამაშობს. „სუპერსონიქსის“ გულშემატკივრები გოლ-კლუბში მივარდნენ და კალათბურთელს ხვეწნა დაუწყეს, ჩვენთან დარჩიო. შრემპფმაც შეიფერა პატივისცემა და თქვა: „მე სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არ შემიძლია. „სიეტლ სუპერსონიქსს“ ჩემი დატოვება არ უნდა“.

ევროპული ტრანსფერები

ლიტვა

არლაუსკასის სისხლი ლიტვურიაო



სარგბიელის არქივიდან

ჯო არლაუსკასი

ევროლიგის გამარჯვებულმა კაუნასის „ჟალგირისმა“ ვერა და ვერ შეკრიბა საბოლოო შემადგენლობა. კლუბის ხელმძღვანელობა კვლავ სასურველი კალათბურთელების ძიებაშია და ახლა ამერიკელ ჯო არლაუსკასს მიადგა. 34 წლის და 204-სანტიმეტრიანმა ფორვარდმა წინა სეზონი ათენის აეკ-ში გაატარა. თავის დროზე მას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“ უთამაშია. 1995 წელს მადრიდის „რეალში“ გამოდიოდა და ლიტველი არვიდას საბონისის მხარდამხარ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. იმ ტურნირის ერთ-ერთ მატჩში არლაუსკასმა 63 ქულა გააკეთა.

არლაუსკასი ლიტვური გვარია და, ცხადია, ჯოც ლიტვური წარმოშობის კაცია. „ჟალგირისს“ სწორედ ამის იმედი აქვს: მთავარია არლაუსკასი დავითანხმოთ, თორემ მისი ხელახალი გალიტველება რა პრობლემაა. თუ ასე მოხდა, კაუნასელებს საშუალება მიეცემათ დამატებით აიყვანონ კიდევ ერთი უცხოელი კალათბურთელი.

გერმანია

ტომიჩის ერთწლიანი ერთგულება

წარმოშობით ხორვატი, მოქალაქეობით კი გერმანელი დრაჟან ტომიჩი ბონის „ტელეკომში“ კიდევ ერთი წლით დარჩა. 25 წლის უკანახაზელმა რიგიანად ითამაშა ევროპის 1999 წლის ჩემპიონატზე, რის გამოც ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. წინადადებათა სიუხვის მიუხედავად, 197-სანტიმეტრიანმა ტომიჩმა ყველაფერი იუარა და „ტელეკომის“ ერთგული დარჩა.

გერმანიის ჩემპიონმა ბერლინის „ალბამ“ კი ევროპის 1993 წლის ჩემპიონთან, ფორვარდ სტეფან ბაეკთან გააფორმა კონტრაქტი.

საბერძნეთი

პაოკ-ი ბაზარევიჩს ებაზრება

ხორვატი პეტარ სკანსი ცოტა ხნის წინ დაინიშნა სალონიკის პაოკ-ის მთავარ მწვრთნელად, მაგრამ რამდენიმე მოთამაშის შეძენა უკვე მოასწრო. მისი მორიგი „აღმოჩენა“ რუსეთის ნაკრების ყოფილი უკანახაზელი სერგეი ბაზარევიჩია. 34 წლის და 190-სანტიმეტრიანი ბაზარევიჩი ამჟამად სალონიკშია და კონტრაქტის პირობებზე უთანხმდება პაოკ-ის ხელმძღვანელობას. საინტერესოა, რომ ბაზარევიჩს რუსულთან ერთად ბერძნული პასპორტიც აქვს. ამდენად, პაოკ-ის რიგებში თამაშისას იგი უცხოელად არ ჩაითვლება. 1995 წელს ამ კალათბურთელმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშიც ითამაშა, მაგრამ „ატლანტა ჰოქსმა“ რამდენიმე მატჩის შემდეგ გამოაგდო.

პაოკ-მა აგრეთვე დაისაკუთრა ამერიკელი ფორვარდი ბილ ედუარდსი (203 სმ), რომელიც ადრე ათენის აეკ-ში თამაშობდა. სალონიკურ კლუბში მას დახვდნენ ყოფილი თანაგუნდელები, ამერიკელი ცენტრი ვიქტორ ალექსანდერი (208 სმ) და იტალიელი უკანახაზელი კლაუდიო კოლდებელა (197 სმ). ამბობენ, პაოკ-ს კიდევ ერთი იტალიელის, ბაზარევიჩის დარად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიერ დაწუნებული სტეფანო რუსკონის შეძენა სურსო.

პაოკ-ი, უფრო სწორად კი სალონიკის ის დარბაზი, სადაც ეს კლუბი თამაშობს, 2000 წლის აპრილში ევროლიგის „ოთხთა ფინალს“ უმასპინძლებს. თავად პაოკ-ი ევროლიგაში იასპარეზებს და, ცხადია, ყველანაირად ეცდება „ოთხთა ფინალში“ გასვლას. ოღონდ, საეჭვო გემოვნების სატრანსფერო პოლიტიკამ ამ გუნდს, წესით, ხეირი არ უნდა დააყაროს.

სარგბიელის არქივიდან

სერგეი ბაზარევიჩი (მარჯვნივ)



REUTERS სტენფორდიდან

ანა კურნიკოვა

ჯენი ისევ ჯანზეა

სტენფორდი. კალიფორნია. BANK OF THE WEST-ის პირველობა. ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $

მატჩი შესანიშნავი სანახავი იყო: აქეთაც გრძელკანჭიანი თინეიჯერი და იქითაც, მძლავრი დარტყმები, ორივე მხარეს ქერა ნაწნავის ქროლვა, აღფრთოვანებული სტვენა-შეძახილები, საბოლოოდ კი 18 წლის ანა კურნიკოვამ 17 წლის მირიანა ლუჩიჩს 6:4, 6:2 აჯობა.

„დასავლეთის ბანკის" პირველობა პირველია WTA ტურის იმ სამი ტურნირიდან, რომელიც უახლოეს კვირეებში მზიურ კალიფორნიაში გაიმართება და ჩოგბურთელებს სეზონის უკანასკნელი „მეიჯორის" — აშშ-ის ღია ჩემპიონატისთვის შეამზადებს.

სტენფორდში, როგორც ყოველთვის, წლეულსაც ძლიერი შემადგენლობაა შეყრილი — მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი, ვინუს უილიამსი, იქნებოდა მონიკა სელეშიც, მარცხენა ხელის ტრავმას რომ არ შეეწუხებინა. თუმცა პირველი ოთხი განთესილი პირველი წრის მატჩებიდან განთავისუფლებული იყო, ამიტომ ყურადღების ცენტში კლასიფიკაციით არცთუ გამორჩეული, მაგრამ არანაკლებ ვარსკვლავური მოთამაშეები მოექცნენ.

ანა კურნიკოვა მეექვსედ კია განთესილი, მაგრამ ერთი წლით უმცროს მეტოქესთან ფავორიტად ძნელად თუ ჩაითვლებოდა — ლუჩიჩმა ახლახან დასრულებულ უიმბლდონზე ნახევარფინალს უწია, რუსი კი ერთი კვირის წინ საჩვენებელ ტურნირზე ისე გასავათდა, კორტიდან გასასვენებელი შეიქნა.

თუმცა მატჩის დასაწყისი ტირანი მამისგან გაქცეული ლუჩიჩისთვის კატასტროფული იყო — მან ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და ბურთის კორტის ფარგლებში მორტყმაც კი უჭირდა.

მირიანამ, რომელიც ჯანით თვით დებ უილიამსებსაც კი არ ჩამოუვარდება, მერე მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა, ანგარიში მინიმუმამდეც შეამცირა — 4:5, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

„დასაწყისში ანას დარტყმული ყველა ბურთი ხაზებზე ეშვებოდა, მე კი ქულების მეტისმეტად სწრაფად მოგება მსურდა და ბევრს ვაცილებდი. ის შესანიშნავი მოთამაშეა, თან ისეთი სწრაფი, რომ უიმედო ბურთებსაც კი უსწრებს-ხოლმე".

კურნიკოვა, როგორც წესი, მოთმინებით უცდიდა მეტოქის შეცდომებს, თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში რისკსა და ბადესთან დროულ გასვლასაც არ აბანებდა და მოგებისთვის სულ 65 წუთი დასჭირდა.

„ამუამად გაცილებით უკეთესი ჩოგბურთელი ვარ, ვიდრე ადრე, ყველა იზრდება და ღვინდება. ნეტა ყოველთვის დღევანდელივით თამაში შემეძლოს, მაგრამ სტაბილურობა ცოტათი ახლაც მაკლია — აღნიშნა პლაკატებისა და ჟურნალების გარეკნებს შეზრდილმა რუსმა, რომელსაც ჟურნალისტები ხშირად აქილიკებენ იმის გამო, რომ ტიტული ჯერაც არ მოუგია — ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ჰინგისმა პირველი „მეიჯორი" 16 წლისამ მოიგო, დევენპორტმა — 22 წლისამ. ჩემი დროც მოვა".

თანდათან იკრებს ძალას ყოფილი „ღლაპი — ფენომენი" ჯენიფერ კაპრიატიც. ხუთწლიანი შესვენების შემდეგ, რომელიც 1992-ის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარიხუანას წევასა და მალაზიიდან წვრილმანების მოპარვის ტექნიკის დახვეწას მოახმარა, ჯენი ისევ ჯანზეა და კლასიფიკაციაშიც სულ ზევით და ზევით მიიწევს.

ამჯერად თითქმის ორსაათნახევრიან დაძაბულ შეხვედრაში კაპრიატიმ უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს, კონჩიტა მარტინესს (9) აჯობა 5:7, 6:4, 6:4: „ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ასეთი დონის ჩოგბურთელის დამარცხება თავდაჯერებას გმატებს და კიდევ უფრო მეტ სტიმულს გაძლევს წარმატების მისაღწევად".

ერთადერთი, ვინც სტენფორდში კალიფორნიული მზისა და ზღვის მადლი ჩაიშხამა, ავყია ირინა სპირლეა გახლდათ. ერთ დროს მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი, ახლა კი საუკეთესოთა ოცეულიდან გავარდნილი რუმინელი ჩანდა რუბინთან 4:6, 4:6 წაგებამ მეტისმეტად გაამწარა.

მატჩ-პოინტზე მორიგი შეცდომის შემდეგ სპირლეამ ბურთი მაყურებლებში მოისროლა, ერთ ქომაგს თავში ხეთქა, მერე კი სტადიონიდან ისე გავარდა, პრესკონფერენციას არ დასწრებია. ახლა მას გვარიანი ფულადი ჯარიმა ელის.

„რომ ვთქვა, ჩემი პირველი წრის მეტოქეებიდან აქამდე მსგავსი არავის გაუკეთებია-მეთქი, სწორი არ იქნება. მე ასეთი საქციელის შესახებ საერთოდ პირველად მესმის" — აღნიშნა რუბინმა, რომელსაც მერვედფინალში ლინდსი დევენპორტი ელის.

პირველი წრე: ენ კრემერი (ლუქსემბურგი) — დომინიკ ვან რუსტი (7, ბელგია) 6:0, 1:0 — ტრავმა; სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:1; ფაბიოლა ზულაგა (კოლუმბია) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 3:6, 6:4, 6:3; ემი ფრეზერი (აშშ) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 6:4; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 3:6, 6:1, 6:2.

ლოს ანჯელესი. აშშ. „მერსედეს-ბენცის თასი". ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $

განქორწინებულთა ასეთ წყვილს ვერსად იპოვით.

მარტში იყო, ანდრე აგასიმ და ბრუქ შილდსმა სახალხოდ განაცხადეს, ჩვენმა ქორწინებამ ჩაილურის წყალი დალიაო, ამას ისიც დაამატეს, მაინც მეგობრებად დავრჩებითო, თუმცა ეს არავის დაუჯერებია — ველურ დასავლეთში ხომ ექსმეუღლეები ქონების გაყოფაზე თვეების და წლების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან.

მაგრამ აგასისა და შილდს ერთმანეთისთვის თვალები მართლაც არ ამოუკორტნიათ. ეს კი არა, საათობით ესაუბრებიან ერთმანეთს ტელეფონით, საიდუმლოდ სადღაც-სადღაც ხვდებიან და საერთოდ...

აგერ ლოს ანჯელესში დაწყებულ „მერსედეს-ბენცის" პირველობაზეც „ცისფერლაგუნელი" ლამაზმანი ისევე მოკალათდა ხოტორა ანდრეს პირად სტუმართა ლოჟაში, როგორც ძველ ტკბილ დროში, ფოტორეპორტიორებსაც ისევე გაუღიმა და ისევ ხმამაღლა უქომაგა ყოფილ (?) გულის მურაზს.

აგასიც ხომ ვერ დააღალატებდა საპატიო სტუმარს, თავს შეუძახა, ორმაგად მოინდომა და არცთუ მთლად ბეჩავ თანამემამულე ჟან-მაიკლ გემბილს სულ ბდღვირი ადინა 6:2, 6:2.

„ასე კარგ ფორმაში ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ერთი ელემენტიც კი არ არის ისეთი, რომელშიც წლეულს უკეთ არ ვირჯებოდე, ვიდრე წინათ. მე უფრო ძლიერი, სწრაფი და კონცენტრირებული გავხდი" — როლან გაროსის ჩემპიონსა და უიმბლდონის ფინალისტს მსგავსის თქმის უფლება ნამდვილად აქვს.

ერთადერთი მოულოდნელობა პირველ წრეში მსოფლიოს მეხუთე ჩოგნის — ტიმ ჰენმანის (3) მარცხი იყო, რომელსაც გუდა-ნაბადი სათვალიანმა და თმის გადაღებვის მოყვარულმა გიიომ რაუქსმა ააკრეფინა 6:3, 7:6 (7:4).

თუმცა მოულოდნელობა თურმე ის უფრო იქნებოდა, გიგანტომაქსიმალურ რაუქსს ლოს ანჯელესში წლეულსაც რომ არ გაემწარებინა ვინმე: „მე მიყვარს ეს ტურნირი, მაგრამ მეეჭვება, რომ მის დირექტორსაც ვუყვარდე. ბოლო სამი წლის მანძილზე ხომ ფილიპუსისი, რაფტერი, ივანიშევიჩი, ახლა კი ჰენმანიც გავუგდე".

არადა, ერთი ხანობა რაუქსის თამაშიც საეჭვო იყო: გასულ უქმეებზე ლიბანში ჩატარებულ საჩვენებელ ტურნირზე მას ფაღარათი შეეყარა.

„ორი დღის მანძილზე ლოგინიდან ადგომაც მიჭირდა. მერე 11 საათი ვიფრინე ლიბანიდან ყოველგვარი წამლის გარეშე და ცხოვრების იმ ყველაზე უარეს რეისს კინაღამ გადავყევი. აქ ექიმმა რაღაც აბები მაყლაპა და ახლა არა მიშავს, თუმცა თავს ძალიან სუსტად ვგრძნობ".

პირველი წრე: პიტ სამპრასი (2, აშშ) — ფილიპ კინგი (აშშ) 6:1, 6:2; მორან ივანიშევიჩი (6, ხორვატია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — ალექს ობრაიენი (აშშ) 6:3, 6:2; უეინ ფერერა (8, სამხრეთ აფრიკა) — ჯეფ გრანტი (აშშ) 6:4, 7:6 (7:2); ენდრიუ ილი (ავსტრალია) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:4, 7:6 (10:8).

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ლოს ანჯელესიდან

ანდრე აგასი

მიხაელ შუმახერს საავადმყოფოშიც აღარ ასვენებენ



ჟან ტოდტი და მიხაელ შუმახერი

შუმახერს მეტისმეტად ბევრს უხდიანო, განაცხადა 70-იან წლებში ფერარის შვეიცარიელმა პილოტმა კლეი რაგაცონიმ და გუნდის მესვეურებს მოუწოდა, კარგად გადახედონ თავიანთ სამომავლო გეგმებს. ვეტერანის აზრით, მიხაელ შუმახერი, რომელმაც უკვე მეოთხე სეზონია, ვერა და ვერ გადაწყვიტა მთავარი ამოცანა — მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული, გაუმართლებლად დიდ ხელფასს იღებს. „მონტეძემელოს ადგილზე რომ ვიყო, ყურადღებით წავიკითხავდი შუმახერთან დადებულ კონტრაქტს".

რაგაცონი მიესალმება ირვინის ავსტრიულ წარმატებას და მსჯელობს: „ეს გამარჯვება საბუთია იმისა, რომ ფერარის რბოლის მოგება შუმახერის გარეშეც შეუძლია". შვეიცარიელის აზრით, შუმახერი წლევანდელ სეზონშიც რომ დაუბრუნდეს რბოლებს, ძნელად სარწმუნოა, რომ რამით მიეხმაროს ირვინს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში, ხოლო რაც შეეხება მომავალ სეზონს, რაგაცონის ეჭვი ეპარება, რომ შუმახერს საკმაო მოტივაცია ექნება მთელი ძალით ასპარეზობისთვის. ამგვარი მსჯელობის შემდეგ რაგაცონი ლოგიკურად ასკვნის: „ფერარიმ უნდა იფიქროს მომავალზე. მე მათ ადგილას გუნდში ირვინს დავტოვებდი, შუმახერის ნაცვლად კი ჰაკინენს მოვიწვევდი. ეს იოლი მოსაგვარებელი საქმე არ არის, მაგრამ ვიცი, რომ იურისტებს ყველაფერი შეუძლიათ. ისიც ვიცი, რომ ჯანი ანიელი პატივს სცემს მიკას. სულაც არ არის აუცილებელი, რომ გუნდში ვარსკვლავი გყავდეს, სავსებით საკმარისია ორი ძლიერი მრბოლი, რომლებსაც ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ. ისეთი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების პატრონი, როგორიცაა ფერარი, ყოველ წელს ვალდებულია მოიგოს ორივე ტიტული, და რადგან ეს არ ხდება, მაშინ ცხადია, რომ გუნდის ორგანიზაციაში რაღაც წესრიგში ვერ არის. სამი სერიოზული შეცდომა, რომელიც ჟან ტოდტის სინდისზეა, ფერარის ორი ტიტულის დაკარგვად დაუჯდა: შარშანწინ ხერესში მან ვერ გაუძლო დაწოლას და შუმახერს ვილნევზე შეტევა მოსთხოვა; შარშან სპაში არაფერი არ იღონა საიმისოდ, რომ განერიდებინა შუმახერი კულჰარდთან შეტაკებისგან. წლეულს სილვერსტოუნში დროზე არ შეატყობინა თავის პილოტს რბოლის შეჩერების შესახებ. ასეთი დონის გუნდის მენეჯერისთვის ამგვარი შეცდომების მიტევება წარმოუდგენელია".

ეს გვარი — კლეი რაგაცონი — ავტომოყვარულს ბევრს ვერაფერს ეუბნება. თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ალბათ არცა აქვს. მთავარია, კაცი, მართალი იყოს საკუთარ თავთან, და აქედან გამომდინარე საკმაოდ დიდი დოზით სხვებთანაც.

რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ძალიან მიჭირს დავუჯერო კაცს, რომელიც იმთავითვე არ შეიძლება ობიექტური იყოს. რაგაცონი უწინარეს ყოვლისა მრბოლია და თან იმავე მანქანით დაქროდა, ვისი კრიტიკის საღერღელიც ახლა აშლია. ესეც არ იყოს, კაცი რომელსაც სოციალისტური ჭია ღრღნის ანუ იმასაც ვერ ხვდება, რომ სხვის ჯიბეში ფულის თვლა, სხვა თუ არაფერი, ცუდ ტონად მაინც ითვლება, როგორი პროფესიონალიც უნდა იყოს, როგორი გულდათუთქულიც უნდა ლაპარაკობდეს ფერარის წარუმატებლობებზე (ესეც საკითხავია, სულ და ყველაფერში ფერარი უნდა იყოს ჩემპიონიო, სხვები რა, ფლავს ჭამენ?), სანდო და მართალი ნამდვილად ვერ იქნება.

ამასაც თავი დავანებოთ. გუნდში ვარსკვლავის ყოლა საჭირო არ არისო. ირვინზე და ჰაკინენზე ამბობს ძლიერი მრბოლები არიანო. კარგს საუკეთესო რომ არ ურჩევნია, მართლაც გაუგებარია (ვითომ ფერარის ფულები ანაღვლებს?), მაგრამ შემდეგ სტრიქონებში მართლაც უნიჭიერეს და ყველასთვის საყვარელ კაცს ჟან ტოდტს რომ გადასწვდა, ეტყობა საამისოდ დასჭირდა შუმახერის ვარსკვლავობა.

ახლა ამასაც შევეშვათ. აქებს და ადიდებს ირვინს. კი ბატონო, შშვენიერი პილოტია, მაგრამ...

ავსტრიის დიდ პრიზზე ათი საუკეთესო წრის ავტორთა ჩამონათვალში ედი ირვინს ვერ იხილავთ. ეს სწრაფი წრეები ან ჰაკინენისაა ან კულჰარდის. სხვათა შორის, კვალიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე, ასეც უნდა ყოფილიყო. და კიდევ: ედი ირვინს, მიუხედავად იმისა, რომ სტარტის შემდეგ მესამე პოზიციაზე იყო, მთელი რბოლის მანძილზე არავისთვის გაუსწრია. ეს ყველაფერი ან ტოდტის ბრწყინვალე ტაქტიკოსობაზე მეტყველებს, ანდა მაკლარენის პილოტთა იმდღევანდელ უნდილობაზე. ირვინი აქ არაფერ შუაშია.

რაგაცონი. ამ გვარის ძირი ქართულად ბიჭს ნიშნავს. კლეი რაგაცონი ნამდვილად მართავდა ფერარის სამოცდაათიან წლებში და ამიტომ ნამდვილად ვეტერანია, მაგრამ როგორც ჩანს, აზროვნებითა და საქციელით ბიჭობის ასაკს ვერ გასცდა.

ირაკლი ბერიაშვილი

ირვინი: მაკლარენი თუ სტიუარტი?

ირვინის აქციებმა ავსტრიის დიდი პრიზის მოგების შემდეგ საგრძნობლად აიწია. მეორე დღესვე იგი ნახეს რონ დენისთან ერთად, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ ირლანდიელს ადგილი შესთავაზეს მაკლარენში.

თვითონ ედის, როგორც ჩანს, სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი გამოიცვალოს გუნდი. რანაირი წარმატებითაც უნდა იასპარეზოს, სანამ შუმახერი გუნდშია, ირვინი მეორეხარისხოვანი როლისთვის არის განწირული.

დღეისთვის ზუსტად არის ცნობილი გუნდი, სადაც პარტნიორთან უპირატესი მდგომარეობა და საკმაოდ კარგი ხელფასი გარანტირებული ექნება ირვინს. ეს არის სტიუარტ-ფორდი. იქ ედის ორჯერ მეტ ხელფასს სთავაზობენ, ვიდრე ახლა იღებს ფერარიში.



ედი ირვინი

ჩემპიონი რინგს მიღმა

ბევრი ფიცი-მტკიცი არ უნდა იმას, რომ ძველ საბერძნეთში დიდ პატივში იყო ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა და კულტურა. ამიტომაც ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებზე, 444 წლიდან, პროგრამაში ხელოვანთა კონკურსებიც შეიტანეს. ხელოვანთა კონკურსები ამშვენებდა თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებსაც, სადაც ერთმანეთს ეპაექრებოდნენ: მოქანდაკეები, ფერმწერები, არქიტექტორები, მუსიკოსები და ლიტერატორები.

ოლიმპიზმის და საერთოდ სპორტის ისტორიას ახსოვს პიროვნებები, რომლებიც ერთმანეთს უთავსებდნენ სპორტსა და ხელოვნებას, ზოგი მათგანი ერთშიც და მეორეშიც ისე დახელოვნებულიყო, რომ ოლიმპიური მედალი ორივე სფეროში მოუპოვებია.

საქართველოშიც გვყოლია და გვყავს პიროვნებები, რომლებსაც სპორტსა და ხელოვნებაში მეტ-ნაკლები წარმატებებისთვის მიუღწევიათ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მოკრივე დავით კვაჭაძე — ევროპის ჩემპიონი და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, რომლის ფოტონამუშევრების პირველი გამოფენა შარშან მოეწყო თბილისში. გუშინ საღამოს კი TMS-ის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მეორეც — „რინგიდან ფოტოგრაფიამდე“.

დავით კვაჭაძესთან საუბარი პროფესიულ რინგთან და ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული ერთი შემთხვევის გახსენებით დავიწყეთ. დაახლოებით 20 წლის წინათ როცა თავად დავითიც რინგზე გამოდიოდა, ერთმა მოკრივემ მეორე ნოკაუტში ჩააგდო. მანამ მსაჯი ითვლიდა, გამარჯვებულმა უმალ ხელთათმანები გაიძრო, იქვე მდგომ ფოტორეპორტიორს აპარატი გამოსტაცა, რინგზე უგონოდ გაშხლართულ მეტოქეს თავზე წამოადგა და სურათების გადაღება დაიწყო...

— ჩემს გამოფენას კი ჰქვია „რინგიდან ფოტოგრაფიამდე“, მაგრამ ფოტოგრაფიით გატაცება კრივს სულაც არ უკავშირდება. სად მქონოდა ამის დრო?. მაშინ სპორტსმენები ისეთ გაუბედურებულ დღეში როდი ვიყავით, როგორც ახლა. ჩვენ ყველანაირი ხელშეწყობა გვქონდა და თითქმის მუდამ შეკრებიდან შეჯიბრებაზე და შეჯიბრებიდან შეკრებაზე დავდიოდით.

ფოტოგრაფიას გაცილებით გვიან დავუახლოვდი, განსაკუთრებით სამი წლის წინათ. ეს დიდად განაპირობა პეტერბურგმა, სადაც ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიაში კრივის კათედრაზე უფროს მასწავლებლად დავიწყე მუშაობა.

ამ ნევისპირა ქალაქში უამრავი გამოფენა ეწყობა, მათ შორის ფოტოგრაფიაშიც, რამაც დიდად დამაინტერესა. მაშინ, სამი წლის წინათ, საქართველოში შვებულებით ჩამოსულს ერთი იქაური პროფესორი მეწვია. იგი რამდენიმე რაიონში წავიყვანე და სურათებიც გადავიღე. ფირზე ბუნება, ისტორიული ძეგლებიც აღვბეჭდე. როცა პეტერბურგს დავბრუნდი, ეს სურათები იქაურებმა ნახეს და ძალიან მომიწონეს. მერე შემაგულიანეს გამოფენა მოაწყვეო. მეც დავიწყე საამისოდ მზადება და წლეულს პეტერბურგში ზედიზედ სამი გამოფენა მოვაწყვე.

გუშინ საღამოს: დავით კვაჭაძე თავის ნამუშევრებთან

პირველი ექსპოზიცია იქაურ ჟურნალისტთა სახლში ორი კვირით მოეწყო, მაგრამ იქაურებს და ქალაქის სტუმრებს ისე მოეწონათ, რომ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მერე პეტერბურგის ქართული დიასპორის ინიციატივით მეორე გამოფენა გაიმართა „ლომ დრუუბი“-ში, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

ახლა, თბილისში შვებულებით ჩამოსვლამდე, მესამე გამოფენას მაიაკოვსკის სახელობის ბიბლიოთეკამ უმასპინძლა. შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი თბილი სიტყვა ჩაიწერა. ჩემს შემოქმედებას მიქებდნენ, მაგრამ მე ის უფრო მიხაროდა, რომ პეტერბურგში ვაჩვენე საქართველო, მისი ბუნება, ფერები, ტაძრები, ისტორიული ძეგლები. შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი ამისთვისაც მიხდიდა მადლობას. უმეტესობამ ჩემი ნამუშევრებით გაიცნო საქართველო და აქ ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდა.

— მართლაც მშვენიერი ნამუშევრებია, საქართველოში თუ პეტერბურგში გადაღებული, ერთმანეთზე უკეთესი აისი თუ დისი, ნისლი, ღრუბლები, წვიმის წვეთები, ყვავილები. მშვენიერია აბსტრაქტული ნამუშევრებიც, მაგრამ აქ სპორტს ვერ ვხედავთ. ნუთუ იმ მოკრივესავით არ გაგჩენიათ სურვილი, რომ თქვენს მიერ ნოკაუტში ჩაგდებული და რინგზე გაშხლართული მეტოქე გადაგეღოთ?

— მე უფრო სხვაგვარად ვუყურებ ფოტოგრაფიას, მასთან სხვაგვარი, ფაქიზი დამოკიდებულება მაქვს, ვცდილობ ვაჩვენო ის, რასაც ვხედავ და როგორც ვხედავ, ზოგჯერ აბსტრაქტულად. სპორტულ რეპორტიორს სულ სხვა ინტერესები აქვს. მან უნდა აჩვენოს დაძაბული სიტუაცია, კულმინაციური მომენტი, თუნდაც მხატვრულ დონეზე აყვანილი ფაქტი.

მეც გადამიღია რამდენიმე კარგი სპორტული სურათი, პორტრეტიც, მაგრამ ეს ექსპოზიცია მაინც თემატურია და ამიტომ ისინი აქ არ გამოვფინე. თანაც ჩემი ძირითადი თემა მაინც ბუნება, პეიზაჟია. კაცი ერთბაშად ყველა ჟანრსა და სფეროს ვერ მოედები, კიბეზე თანდათან უნდა ახვიდე.

— რას ნიშნავს თქვენთვის ეს გამოფენა, მისი წინამორბედები?

— გარდა იმისა, რომ ამ გამოფენებს სხვებისთვის დიდი სიამოვნება მოაქვს, ჩემთვისაც სასიხარულოა. თანაც ამ გამოფენებზე ერთდროულად უამრავი ჩემი ახლობელი, ნათესავი, მეგობარი იყრის თავს. სხვაგან მათ, ასეთი ფართო შემადგენლობით, ვერსად ვნახულობ. ამიტომ გამოფენები ჩემთვის ამ მხრივაც დიდი ზეიმია.

— ზოგი ფოტო უსათაუროდაა წარმოდგენილი...

— დიახ, ზოგი ნამუშევარი აბსტრაქტულია. არ მინდა მათი და კიდევ ზოგი სხვა ფოტოს დასათაურებით შეზღველს ჩემი აზრი თავს მოვახვიო.

— რას ნიშნავს თქვენთვის ფოტოაპარატი?

— თავდაპირველად პატარა „კონიკათი“ ვიღებდი, „სასაპნეს“ რომ უწოდებენ, ისეთი ფოტოაპარატით, ღილაკზე თითის დაჭერის შეტი რომ აღარაფერი უნდა. მაგრამ ასეთი კამერა შემოქმედებითი ჩანფიქრის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ეუცა ეუ ანტიკვაცდილობდი. ახლა მშვენიერი ფოტოაპარატი მაქვს. პროფესიული ეგონ. ზოგჯერ, როცა [illegible] ასეთ კარგ სურათებს რომელი ფოტოაპარატით იღებო, ხუმრობით ვპასუხობ, ისეთი აპარატი მაქვს, რომ როცა აბა, ჩემო ქენონჯან, ეს და ეს ასე და ასე გადამიღე-მეთქი და ის ყველაფერს მიჯერებს-მეთქი. ისე, კარგია კარგი ფოტოაპარატი, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არცა აქვს. თავად გადამღებს გააჩნია. ცუდი კამერით გადაღებული ბევრი კარგი ფოტო მინახავს. მინახავს კარგი აპარატით გადაღებული ბევრი ცუდი სურათიც. მთავარი ისაა, თუ ვის ხელშია ფოტოაპარატი და კიდევ რა ობიექტივით იღებ.

— თავად ფოტოგრაფია რას ნიშნავს თქვენთვის?

— ფოტოგრაფია ჩემთვის საკუთარი გრძნობების გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ახლოსაა ფერწერასთან. ფოტოგრაფია ხომ შუქით წერას ნიშნავს და მეც ვცდილობ საკუთარი თვალით დანახული, აღქმული და განცდილი ფერები ფოტოგრაფიის საშუალებით ვაჩვენო.

— ამ საქმეში შვილებიც ხომ არ აიყოლიეთ?

— ორი შვილი მყავს. უფროსი, დავითი, ოცდაერთი წლისაა, ქალიშვილი თამრიკო, თექვსმეტის. ბოლო დროს ფოტოგრაფიისადმი ინტერესი მათაც გაუჩნდათ. რაღაც თავისებური თვალთახედვა აქვთ. ისინი ახლა უფრო მხატვრულად უყურებენ და აღიქვამენ პეიზაჟს, ფერებს. ვფიქრობ, რაც მეტი კვალიფიციური ფოტომოყვარული ახალგაზრდა გვეყოლება, მით უკეთესი იქნება. ეს ხელს შეუწყობს საერთო გემოვნების დახვეწასაც...

— უმცროსი დავით კვაჭაძე კრივში რატომღა არ გაჰყვა მამის კვალს?

— ვერც შვილს და ვერც სხვას ვერ დაამალებ, გინდა თუ არა მოკრივე გამოდიო. ამით არაფერი გამოვა. კრივი მეტად რთული სახეობაა. ყველა ჩემპიონი ვერ დადგება. დიდი სურვილი უნდა გქონდეს, დიდი ნებისყოფა, რომ ყველაფერს გაუძლო და მიზანს მიაღწიო. ეს ერთეულთა ხვედრია.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტო

ᲛᲔᲨᲕᲘᲚᲓᲦᲝᲜᲝᲑᲐ

აზიელებმა ქვრივიშვილი ლიცენზიას დააჯერეს

საფრანგეთში, გიიომში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ხათუნა ქვრივიშვილმა რომ მეოთხედფინალში გააღწია და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა, გუშინწინ გაცნობეთ. გუშინ კი მეოთხედფინალური ბრძოლა-სროლაც გაიმართა. ქვრივიშვილს მეტოქედ კორეელი ჯო სუნ კიმი ერგო. დღესდღეობით კორეელი ქალები საუკეთესო ჩუბინებად ითვლებიან და ერთი მათგანის, კერძოდ, ზემოხსენებული სუნ კიმის ძალა საკუთარ თავზე ხათუნამაც გამოსცადა. მოკლედ, ვიწროთვალება აზიელმა ქვრივიშვილს 113:107 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. იქ კი თვისტომს, ენ კუნგ ლის გადაეყარა და ახლა ქვრივიშვილის მძლეველი დარჩა დამარცხებული.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში უფრო ზუსტად ბრიტანელმა ალისონ უილიამსმა სტყორცნა ისრები და ჩინელ ლინ სანგს ბრინჯაოს შანსიღა დაუტოვა, თუმცა ამან ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. ბრინჯაო ჯო სუნ კიმმა მოიპოვა. რომ გითხარით, კორეელი ქალები საუკეთესო ჩუბინები არიან-მეთქი, დასტურად ფინალური შეხვედრაც გამოდგება, რომელშიც ენ კუნგ ლიმ უილიამსონს 115:100 აჯობა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალიც ირგუნა.

მირანდა ზედელაშვილი

ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲑᲐ

ვარსკვლავებმა სირბილი დაიზარეს

მსოფლიოს მძლეოსანთა სუპერთანავარსკვლავედმა აშკარად უგანა ვინიპეგში მიმდინარე პანამერიკულ თამაშებს. დასავლეთ კანადაში არ გაემგზავრნენ ამერიკელი მორის გრინი, ტრინიდადელი ატო ბოლდონი და თვით კანადელმა ბრუნი სურინმაც თავის კონტინენტსა და ქვეყანაში ასპარეზობას ევროპის კომერციულ ბილიკებზე ფულის მოხვეჭა ამჯობინა. ერთადერთი, ვინც მშობლიური კონტინენტისადმი პატრიოტული გრძნობა შეინარჩუნა, კანადელი დონოვან ბეილი გახლავთ, თუმცა თავი ძალიან არც მას გამოუდია: როცა ვინიპეგში ჩავიდა, ბეილის „საფირმო“ მძლეოსნური შეჯიბრება — 100 მეტრზე რბენა უკვე 24 საათის გასრულებული იყო: იგი ამერიკელმა ბერნარდ უილიამსმა მოიგო, არცთუ პრეტენზიულმა სპრინტერმა და, სხვათა შორის, არცთუ პრეტენზიულით შედეგით — 10,08 წმ. ბეილი გააკრიტიკეს და მანაც თავი იმართლა, ქვეყნის ჩემპიონატზე 100 მეტრზე რბენაში მხოლოდ მე-5 ადგილზე გავედი და არ მეგონა, თუ ნაკრებში დამიძახებდნენ, ამიტომაც დამაგვიანდაო. დონოვანს კანადის ნაკრებში მეორე ნომრად სირბილი შესთავაზეს, მაგრამ იუკადრისა და ერთადერთი შეჯიბრი, სადაც მონაწილეობას მიიღებს, 4X100 მეტრზე ესტაფეტა იქნება. გაირბენს ასიოდე მეტრს, ჯოხს პარტნიორს მიაჩჩებს და ამ საქმეში 200 ათას კანადურ ანუ 132 500 ამერიკულ დოლარს მიიღებს. ნეტავი მას!

დავით გულუა

ᲡᲐᲬᲧᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ

ავტორიტეტებს პატივს არ სცემენ

საწყლოსნო სახეობათა სტამბოლის ევროპის ჩემპიონატის გუშინდელი დღე ჰოლანდიელი პიტერ ვან ჰოოგენბანდისა და რუსი ვერა ილინას ბენეფისად იქცა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვაში პიტერმა მესამე ოქრო მოიპოვა, თანაც უპირველეს ფავორიტს, რუს ალექსანდრ პოპოვს აჯობა და ამით ოქროს მეტი ფასი დაადო.

ტრავმამოშუშებულმა ვერა ილინამ ჯერ იყო და მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა, გუშინ კი სამმეტრიანზეც უძლიერესი იყო და ევროპის ორგზის ჩემპიონი გახდა. აქ ვერცხლი ვერას თვისტომმა ირინა ლაშკომ მოიპოვა, ბრინჯაო — გერმანელმა კონი შმალფუსმა. გარჯა წყალში არ უნდა ჩავუყაროთ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულ ბრიტანელ ქალს, სიუ როლფს, რომელმაც ისეთი სახელოვანი მეტოქეები ჩამოიტოვა, გერმანელები სანდრა ფოლკერი და ფრანციკა ვან ალმსიკი, ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინი რომ არიან. როლფმა ინგე ვერცხლს, ხოლო სანდრა ბრინჯაოს დააჯერა. ვან ალმსიკმა კი დისტანცია სულაც ბოლომ დაასრულა.

გუშინ 100 მეტრზე გულაღმა მოცურავე ქალებისა და 200 მეტრზე კომპლექსურად მოცურავე კაცების ჯერიც იყო.

პირველ დისციპლინაში უნგრელმა აგნეს კოვაჩმა იჩემპიონა, მეორეში — ჰოლანდიელმა მარსელ ვოუდამ.

ქახა ხურციძე

REUTERS სტამბოლიდან

ვერა ილინა



სიუ როლფი

REUTERS ვინიპეგიდან

მედალი? რამდენიც გინდა!

ვინიპეგში მიმდინარე პანამერიკულ თამაშებზე უმედლოდ, ალბათ, მაყურებლებსაც არ დატოვებენ. თითქოს კარატე და სხვა უამრავი „ეგზოტიკური“ სახეობა არა კმაროდა, რომ ოქრო-ვერცხლი გორგოლაჭებით სხვადასხვა დისტანციაზე სირბილშიც ჩამოარიგეს. 500 მეტრზე ყველას არგენტინელმა ანდრეა გონსალესმა (მარცხნივ) აჯობა.

REUTERS ვინიპეგიდან

არგენტინა — სიხარული ბრაზილია — ცრემლი

რა მნიშვნელობა აქვს, ჰამბურგერების ჭამაში იქნება შეჯიბრი, თუ შორს გადაფურთხებაში, ბრაზილიელებისა და არგენტინელების შეხვედრა ყოველთვის პრინციპულია. აგერ, პანამერიკულ თამაშებზე მეზობელ-მოძულეები ერთმანეთს გორგოლაჭებიან ჰოკეიში მესამე ადგილისთვის შეებნენ და ... არგენტინელები სიხარულით ჭერს შესწვდნენ, ბრაზილიელთა კაპიტანმა და მეკარემ კი თითო-ოროლა ცრემლიც გადმოყარეს.

REUTERS ვინიპეგიდან

შვედეთი

გადადებული მატჩი

იორებრო 1:2 გიოტებორგი

ჟულის ყველაფერი აქვს, მედალიც

კანადელ ტანმოვარჯიშე ჟული ბოლიოს არაფერი დაეწუნება: ფეხები აქვს? — აქვს, ტანი აქვს? — აქვს, სახე? — აქვს, ოღონდ ისე, რა. აი, პოზა კი — ოოო ... თანაც ჟულიმ პანამერიკული თამაშების ვერცხლის მედალიც დაიკიდა.



REUTERS ვინიპეგიდან

კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მჟe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4



ჩოგბურთი კეთილი თამაშია

ეს შორტაკაპიწებული კაცი, მაყურებლებს თავისი ფეხების სილამაზით დატკბობას რომ სთავაზობს, ამერიკელი კომიკოსი მსახიობი, ოსკარის მფლობელი რობინ უილიამსია. საქმე კი ის არის, რომ ლოს ანჯელესში მიმდინარე „მერსედესის თასი“ მეტად საინტერესო შეხვედრით გაიხსნა: მასში უილიმსისა და პიტ სამპრასის დუეტი ანდრე აგასისა და არანაკლებ ცნობილი ხუმარის — ბილი კრისტალის წყვილს შეხვდა. მატჩზე დასასწრები ბილეთები თურმე 150-200 დოლარი ღირდა, მთელი თანხა გაჭირვებული მუსიკოსების ფონდში გადაირიცხა, ხუმრობა-ხუმრობაში კი გამარჯვება სამპრასსა და უილიამსს დარჩათ. იმასაც იუწყებიან, გულდაკოდილმა კრისტალმა (სურათზე ორიგინალური მაისურის შემოხევას რომ ცდილობს) შინ მისვლისას თავი ჩამოიხრჩო.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli